

უოველკვირეული საზოლიტ კო, სამეცნიერო და სალიტ. გასეთი

№ 19

28 სექტემბერი 1908 წ.

ფასი 10 კ.

შინაარსი: პოლიტიკური ბაღლები.—სად არის სი-
მართლე?—სქელი ღრუბელი (ლეკსი), გ. ტაბიძისა.—ეჭურ-
ნალგაზეთებიდან.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენიში.— ოსმა-
ლეთი.—სპარსეთი.—გუბაზაულო! (ლეკსი), გრ. ცენტრა-
ქისი.—მაღალს წრეში (პიესა), განისა.—წერილი მოსკო-
ვიდან, ივ—იძისა.—უმაღლესი სსწავლებლის მდგომარეო-
ბა, ს. კანდისა.—ქუთაისის ქრონიკა.— ფოთის ამაბი.—
მუშათა შორის.—წერილი ქართულ საზოგადოებას, Arle-
mus-ისა.—მალშინის მახრა.—მანცხადებანი.

რ ე ღ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ :


„ჩვენი კალი“-ს 23 ნომრიდან“ დაიწყება ბეკეღა
ცნობილ ავტორის ლაშინილ ანდრეაშვის პიესის

„მეფე შიშვილი“-სა

თარგმანი ქ-ნი განდგილისა.

პოლიტიკური ბაღლები.

გაზ. „ეკალი“ ბეჯითათ შჩხრევეს ჩვენი ორ-
განოს ფურცლებს, რათა აქ აღმოაჩინოს როგორ-
მე ისეთი საბუთები, რომელნიც დაამტკიცებდენ
ჩვენს „მწვალებლობას“ (ერეტიკობას), ჩვენს აშ-
კარა განზრახვას — პარტიის ციხე-სიმაგრე „ორ-
ტოდოქსისა“ დავარღვიოთ და საბოლოოთ შევმუ-
სროთ. და რადგან არავითარი ამის შხვაესი საბუ-
თები ჩვენს ნაწერებში არ იპოვება, ამიტომ „ეკა-
ლისტებს“ გაღიუწყვეთით თავის ლალი ფანტაზია



მოიშველიონ და ასე შეხანლონ საქირო არგუმენტები. რაკი ნებით არა ხერხდება, ისინი ძალით გვერეკებიან გერმანულ რევოლუციონისტების ბანაკში. მაგრამ რვეზიონისტები, ავთ თუ კარგათ, დღეს ისევ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში იმყოფებიან და ჩვენ „გარევიზიონისტება“ კიდევ საესებთ ვერ დავგვეძღვა მუშათა მასის თვალში. ამიტომ ვაზ. „ეკალი“ ეხლა გვისტუმრებს ვერნერ ზომბარტთან, რომელსაც მარქსისტულ მოძღვრებაში მართლაც შეაქვს „შესწორება“; იგი „კლასთა ბრძოლის პრინციპს“ მართლაც უტორლიალებს ნაციონალიზმის პრინციპს, როგორც პირველის სწორ-უფლებიან „ისტორიულ ფაქტორს“. ჩვენი შმაგ მორეული ამხანაგ-მოწინააღმდეგენი ამასაც აღარ ჯერდებიან და ბოლის ყივინთა და ზემით პირსწორეთ გვერეკებიან იმპერიალისტ-ნაციონალისტებთან, ე. ი, ევროპიულ შავ-რაზმელთა ბანაკში და ზედ გვაყოლებენ ქვასა და ღორს.

ვაზ. „ეკალი“ თავის მე-21-ე №-ში პირდაპირ აცხადებს, რომ ჩვენი კვლის* ჯგუფი ამოძრავებულა იღუპილი განზრახვით „უტოლებლათ ოსმალეთ-სარასეთის ქართული პროვინციები სახელმწიფოებრივთ შემოუბროსს“ საქართველოსი.. და იმ შიშით, რომ გულუბრყვილა მკითხიელმა არ იფეროს, ვითომ ჩვენს კვლს* ეხოვნოს ისეთი რამ თილისმა, რომლის მეოხებეთაც დსახელბულ საქმის განზორციელება შეძლებოდეს მშვიდობიანი გზით, ვაზ. „ეკალი“ აქედანვე გაფრთხილებს იძლევა: „რასაკვირველია—გრძნული ქსუთი გიშხელს იგი—ნება-ყოფილობით არაენ დაგვანებებს (იმ პროვინციებს), მაგრამ თუ კი ეს მუშათა საქმის წინსვლის აუცილებელი პირობაა, განა ამ კლასისთვის თავ-დადებულნი (რა ბრძანებაა, თავ-დადებულნი მხოლოდ და მარტო თქვენა ხართ? „ჩვ გ.“) რკინასა და სისლს მოკრებდებიან?“ ამრიგათ, ჩვენნი კვლის* თურმე არკინასა და სისლს- მოუწოდებს საქართველოს სახელმწიფოს სასღერების გასაფართოებლათ!.. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ყველა ამის თქმა, ჩვენს შესახებ მაინც, იგივე არის, რომ მთელ დღეს თქვენს საბუშო ოთხში მჯღღამს უტბათ თავს წამოგადგეთ ვიღაც ქუჩის მაცანწა და უტიფრათ დატკივლობთ: „წედან ქუჩაში ჯიბიდან საათი რათ ამომაკლეთო?“

„ეკლის“ ასეთი ოცნები გაბათილებას არ საქიროებს. ამაზე ლაპარაკი კი მტკია; მის მიერ წამოყენებულ „სახუთებს“ ჩვენის მბრთ არავითარი კომენტაროები არ ესაქიროება, მაგრამ ჩვენ მაინც გვირბ მასზე ცოტა ხნით შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რათა საესებთ გამოვაშქადნოთ ჩვენი მოწინააღმდეგე ამხანაგების გონებრივ-ზნეობრივი ავლა-დიდება.

ჩვენს უკანა* კნელ მეთაურ წერილში სარსეთისა და ოსმალეთის განმთავისუფლებელ მოძრაობის შესახებ აღვნიშნავდით, სხვათა შორის, იმ გარემოებას, რომ ხსენებულ ქვეყნებში პოლიტიკურ თავისუფლების დამყარება საძირკველს ჩაუყრის ჩვენს იქაურ ქართველ

მოძვებთან ნაციონალ-კულტურულ დაახლოება-დაკავშირებას. ამაზე ვაზ. „ეკალი“ განცვიფრებულა და გულუბრყვილოთ კითხულობს: „აქ ათველ შემთხვევაში ერთი რამ ნათლათ არ არის ნათქვამი, ქართულ კაპიტალიზმზე როგორ უნდა იქონიას გავლენა იმ ფაქტმა, რომ ქართველ მაჰმადიანებს სპარსეთ-ოსმალეთის პარლამენტში ექნებათ წარმომადგენლობა, ისინი ხომ მაინც სხვა სახელმწიფოში ექნებიან, ჩვენსა და მთ შორის სადამოყენო კვდელი იქნება? თუ შეიძლება ფერკიდანელი ქართველი თავის ერისადმი სიყვარულით აღზნებული ორმაგ ფასს მისცემს ქართულ საქიწელში სხვებთან შედარებით?“

ერთი გვიბრძანეთ, რა მოსატანია აქ ქართულ კაპიტალიზმის განვითარებისა და ქართულ საქიწლის გასაღებაზე მხრუნველობა, როდესაც ჩვენ წყრდით მხოლოთ ნაციონალ-კულტურულ ურთიერთობაზე. მაგრამ, მოგვეხსენებათ, „ეკალის“ პუბლიცისტები ეკონომიურ-მატერიალისტები არიან და კარგათ იციან, რომ იდეური ურთიერთობა არ არსებობს ისე, თუ მას წინ არ უძღვის „ეკონომიკა“. ეკონომიური ფაქტორი-გვასწავლიან „ეკოლოგები“—უძლიერებსა, ის თავის დაღს ასევეს ყველაფერს, „ეკოლოგებმა“ კი (მოისმინეთ) ნაციონალურ-რასიული ფაქტორი ისეთ ძალით გამოაცხადეს, რომელსაც პირიქით ძლიერი გავლენა აქვს ეკონომიურ ურთიერთობაზე საერთოთ და კერძოთ კაპიტალიზმზე.. ჩვენეკალი“ ცნობილ ზომბარტის დახმარებით „აღრზაებდა“ მარქსიზმს.. სწორეთ ოხუნჯი ხალხია ჩვენი „ეკოლოგები“. ესენი ნაშროლათ იმ აზრს გვაწერენ, ვითომ ჩვენ იდეური ურთიერთობა შესაძლებლათ მიგვარდეს „ეკონომიკის“ გარეშე. მაგრამ ეს საკითხი თვით ზომბარტსაც არ ესმის ამგვართ. ჩვენი რწმენით კი, იდეოლოგიის მიუცილებელი ნიადაგი უტყველათ არის „ეკონომიკა“ ადებულ შემთხვევაში სწორეთ კაპიტალიზმის განვითარება იძლევა ნაციონალ-კულტურულ აღორძინებას და საფუძველსა ჰქმნის მქიდრო იდეურ ურთიერთობისათვის; ერთხელ წარმოშობილი იდეოლოგია თუ კულტურული აღორძინება კი, თავის მზრით, უტყვევით, მოქმედებს „ეკონომიკის“ (ამ შემთხვევაში კაპიტალიზმის) განვითარებაზე. ასე ესმის ეს საკითხი თვით ორტოლოქსალურ მარქსიზმს; მაგრამ ასე არ ესმის „ეკალის“ პუბლიცისტს. მისი აზრით „ეკონომიკა“ თავის საშოდან პირდაპირ ისრის სხვა და სხვა იღებებს, მთელ იდეოლოგიას; საკმაო მაგ. გახსნათ ფაბრიკა, დადგათ მანქანები, რომ იქიდან უმაღვე გამოიხტეს სოციალ-დემოკრატიული რდები. ერთი სიტყვით, ჩვენ ახირებულ პუბლიცისტს მარქსიზმი იმგვართვე ესმის, როგორც სოც. ფედერალისტებს, და რასაკვირველია, არ. ჯ—შეღლსაც სრული საბუთი ეძლევა „მექანიზმითა“ და „ფატალიზმით“ გვეცემს თავში.

რაკი ჩვენ უებრო მოკამათეს აგრე „მშვენებრთ“ ესმის მარქსიზმი, რალა საკვირველია თუ იგი თვით ეკო-

ნომიურ დაახლოებებსა და ურთიერთობას სხვანაირათ ვერ წარმოიდგენს თუ არ სახელმწიფოებრივ შემოგრთების⁴ სახით. მათის აზრით, ნაციონალ-კულტურული დაახლოება და დაკავშირება შეუძლებელია სახელმწიფოთა შორის, რადგან აქ თურმე გარდაუვალი „სადამოვნო კედლებია“ ამართული. და ვისაც „დახლოება“ სურს იმან „რკინა და სისხლიც“ უნდა ისურვოს. სწორედ უცნაურია, ზოგიერთ ამხანაგებს, ვისაც ყოველ ცხვირის დაცემინებაზე პირზე აკერიათ კაპიტალიზმი, სავაჭრო ბაზარი, მრეწველობა, ბურჟუაზია და სხ. დღევანდლამდე ვერ შეუგვნიათ, რომ ასეთი კედლები თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. კედლები ამართული იყო მხოლოდ საშუალო საუკუნოებში, ამას იწვევდა იმ დროინდელი ეკონომიური ვითარება, ბატონ-ყმურ ფეოდალური წეს-წყობილება. დღეს კი სულ სხვა ტიპის „ეკონომიკა“ გვაქვს. კაპიტალისტურ ვითარებაში კედლების ნაცვლათ არსებობს სადამოვნო, სავაჭრო პოლიტიკა; ეს არის ერთი მთავარი ძარღვი თანამედროვე სახელმწიფოსი, კედელი კი ამ პოლიტიკის მოსპობა იქნებოდა. კაპიტალიზმისათვის კედლები ნიშნავს საწინევი ეკონომიურ კრიზისებს, ეკონომიურ დაცემას და სიკვდილს. რუსეთის რევოლუციის ერთი ძირითადი მიზნაც აქ იფარება. ბურჟუაზია ამხედრდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან მისი წადილია დანაგრობს „კედლები“, ხელთ იგდოს სახელმწიფოს სადავეები და თვითონვე აწარმოვოს უფრო მოგებიანი და საინფიანი სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკა. და აი, როცა რუსეთს, ოსმალეთსა და სპარსეთში დამყარდება ახალი პოლიტიკური წეს-წყობილება, ეს ძალუმათ ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებას. დავევრწმუნეთ, ოსმალეთსა და სპარსეთში კაპიტალიზმი განვითარდება, თუნდაც ქართველმა ბურჟუაზიამ მათ ბოიკოტი გამოუცხადოს და ერთი კაპიკის სიღირსი საქონელი არ მიაწოდოს. მაგრამ ქართველი ბურჟუაზია არც ისეთი აბუჯრტი იქნება, რომ თავის საკუთარ ინტერესების წინააღმდეგ წავიდეს; არა, ის თვითონვე მოახერხებს სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა დაქიროს, როგორც სპარსეთსა და ოსმალეთთან, ისე სხვა ქვეყნებთანაც. ამასვე თქვენ ნუ იდარებთ. და ან კი როდის აქვთ არის, რომ სოციალდემოკრატია თავის თავზე იდებს კაპიტალიზმის ხელის შეწყობას?.. არა, კაპიტალის გასუქება-გაზოხიერებას თვითონ კაპიტალისტებივე შეიძობენ, ქართული საქონლის გასაღებაც ქართველ სოც.დემოკრატების თავ-სატეხი საკითხი არ არის. ჩვენ სკობა საკუთარი საქმე გვაქვს. ეს არის მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება, და აი სწორედ ამ თვალსაზრისით განვსკვერტდით ჩვენ სპარსეთ-ოსმალეთის და რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ახალი პოლიტიკური პირობები და მისი მეოხებით განვითარებული კაპიტალიზმი ხელსაყრელ ვითარებას იძლევა ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობის განსავითარებ-

ლათ. ეს ნიშნავს მთელ საერთაშორისო პროლეტარიატის ლაშქარის გამძლეობას, საზოგადო და ქართველ მუშა ხალხის საქმის ერთა შესხმულ წინმსვლელობას, კერძოთ, რადგან ამ ხალხს, ემატება ახალი ძალი, სხვათა შორის, სპარსეთის და ქართველ თანამომკმების სახით. აი ამიტომაც ვეაღიერებთ ჩვენ ამ წარწინევილ მომავალს და შევეტრებით სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის განთავისუფლებას.

შეიძლება ჩვენ ნათქვამი კიდევ გაუგებარი იყოს „ეკალის“ პუბლიცისტისათვის. ამიტომ ახსნათ კიდევ კონკრეტულათ, მაგალითათ წარმოიდგინეთ სპარსეთში, ოსმალეთში კაპიტალიზმი უკვე განვითარებულა საქმათ; ეს, თქმა არ უნდა, გამოიწვევს აქ სოციალისტურ პარტიების შექმნასა და განვითარებას. იქ განდება სტამბა, გაზეთი, წიგნი, ჟურნალი. ქართველ ამხანაგებისაგან იქ ხშირათ დაიბეჭდება ისეთი რამ, რის წაიხიხეც დიდად სასარგებლო იქნება საქართველოს მუშა ხალხისთვის და შეიძლება—შვეწ შორის კი დარჩეს—ქართველ ს.-დ. ინტელიგენტისთვისაც. ვარგთვე ჩვენშიაც დაიბეჭდება ბევრი რამ მათთვისაც სასარგებლო. ეს გამოიწვევს წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთობის ურთიერთ შორის გაცვლა-გამოცვლას, იდეურ აღმემიცემობას, იდეურ ურთიერთობას და დაკავშირებას.

დაბს, ასე სპარსეთსა და ოსმალეთში ახალ წყობილების შემოღება, კაპიტალიზმის განვითარება მოასწავებს ჩვენსა და იმ ქვეყნებში მზგავს სოციალ-ეკონომიურ ვითარების დამყარებას. ამ ნიადაგზე ჩნდება ძლიერი იდეური ურთიერთობა და ზე-გავლენა. ნაციები ერთმანეთს ჟახილდებენ კულტურულათაც, ხლო ერთ და იმავე ნაციის სხვა და სხვა ნაწილები, როგორც შიგნით, ისე ვარეთ—სახელმწიფოთა საზღვრების გაღმა-გამოღმა—მჭიდროთ უკავშირდებიან ნაც.კულტურულათ. ეს ნიშნავს კერძოთ მთელ ქართველ ნაციის აღორძინებას და ვარგთვე ქართველ მუშა ხალხის კულტურულათ ამაღლებას და ქართველ მუშათა საქმის წინ წაწევას. ხომ გასაგებია, „ეკალის“ პუბლიცისტებო? აი, ამასვე ვწერდით ჩვენს წინა მეთაურში. შეგნებულ სოც.დემოკრატისთვის აქ არაფერია საღაო და საკამათო. ეს ნათელი ქმშარიტება, ეს ელემენტარული ცნობაა, ეს არის ანი... ეს არის ბანი... ისწავლეთ, „ეკალის“ ჩვენო პატარა ამხანაგებო!

ს ა დ ა რ ი ს ნ ი მ ა რ ტ ლ ე ?

I

მარქსისტული მსოფლმხედველობა, მოგვსენებთ, არსებითათ განსხვავდება იდეალისტურ-სუბიექტივიზრ მსოფლმხედველობისაგან. ამ უკანასკნელის მიხედვით, როგორც იცით, ისტორიის შემომქმედი აზრი, იდეა. კაკობრიობის წინმსვლელობა-განვითარებას აწარმოებს აზრის განვითარება; და ამ პროცესის ავტეტი თუ შემოქმედი არის საღი მსჯელობის მქონე, შორს მჭვრეტელი გონების პატარანი ადამიანი ანუ კრტიკულათ

მოაზროვნე პიროვნება. იდეალისტურ ფილოსოფიის ლო-
ლიკური დასკვნაა, ასე წოდებული, „გმირების თეორია“
ანუ „პიროვნების კულტი“, ძლიერ პიროვნებათა გა-
ღმერთება. ამ მოძღვრების მიმდევართათვის ხალხი უმწყო
ბარბაი, ცხვრის ფარაა და მისი ბუნებრივი მწყემსი თუ
წინამძღვარი და ბელადი არის ძლიერი პიროვნება,
გმირი. ამას შეუძლიან ხალხი ან სამოთხეში შეიყვანოს-
და ან კლდედ გადასწვებოს. ცხოვრება თიხაა, საიდანაც
არტიკრი მექანდაკე—ამ შემთხვევაში გმირი—მოღვაწე—
ისეთ ქანდაკებას (წეს-წყობილებას) აკეთებს, როგორსაც
მას უკარნახებს მისი ნიჭი, უნარი და ზე-შთაგონება.

სრულიად წინააღმდეგ გეგსწავლის მარქსისტული
მოძღვრება. მარქსიზმი აღიარებს, რომ იდეაცა და პიროვ-
ნებაც ნაყოფია ვარემორტყმულ ცხოვრების პირობები-
სა. იდეა, აზრი არის ადამიანის გონებაში აღბეჭდილი
სურათი, გამოხატულება გარეშე საგნებისა და მათ შო-
რის არსებულ ურთიერთობისა. მარქსიზმი კაცობრიო-
ბის განვითარების უკანასკნელ ახსნას ეძებს ცხოვრების
ნიეთიერ პირობებში. მისთვის ისტორიის შემოქმედნი,
კაცობრიობის განვითარების მამოძრავებელი ძალა, სა-
ბოლოო ანგარიშით, არის საწარმოო ძალთა ვითარე-
ბა. ამ ძალას აშუშავებს არა ესა თუ ის პიროვნება ანუ
პიროვნებათა რომელიმე კერძო ჯგუფი, არამედ მთელი
ხალხის მასა. ცალკე პიროვნებას თუ იცვას ანუ იდეი-
ურ მიმდინარეობას ცხოვრებაში იმდენაა აქეთ მნიშ-
ვნელობა, რამდენადაც იგინი სისწორით გამოხატვენ
ცხოვრების ნაშეილ, რეალურ მიმდინარეობას. პიროვ-
ნება დიდია მნიშვნელოვანი და ძლიერია თუ მან ნათ-
ლად შეიგნო ცხოვრების შინაგანი მიმართულება და მას
შეუფარდა თავისი მოქმედება; მაგრამ იგი უღონოა, იგი
ცხოვრების ზღვაზე მოტიტიციებული უმნიშვნე-
ლო ნაფოტია, უკეთუ ვერ შეიგნო აღნიშნული
მიმდინარეობა და მოიწადინა მის წინააღმდეგ წასვლა.
და რადგან აწმყსა, შობილი წარსულისაგან, არის მშო-
ბელი მომავლისა, პიროვნების მთელი როლი ისტორია-
ში იმით განისაზღვრება, რომ მან—თუ კი ის შეეწ-
ბული და, მაშასადამე, ძლიერი პიროვნებაა—დააჩქაროს
და შეამოკლოს საზოგადოებრივ ორსულობის ხანა და
მით შეაშუბუქოს მშობიაროაის ტკივილები—როგორც
ამბოის კარლ მარქსი.

ასეთი გახალავე დედა-აზრები, პრინციპები, მაგრამ
ერთია პრინციპი და მეორეა ამ პრინციპის ლოიკურათ
გატარება აზროვნებასა და მოქმედებაში. იდეალისტურ-
სუბიექტიურობა მსოფლ-მხედველობამ, რომელიც რუსეთ-
ში ბატონობდა მე-18-ე წლებამდე, თვისი შესანიშნე-
ვი გამოხატულება ჰპოვა ცნობილ მიმდინარეობაში,
„ნაროდნიტსტოვი“ (ვიგულისხმებთ აგრეთვე „ნარო-
დოვლჩესტვოს“). დღეს ამ მიმდინარეობის დაჩაჩან-
კებული მემკვიდრენი ანუ „დუშპირაკაშიკები“ არიან
სოციალისტ-რევოლიუციონერები, რუსეთში და სოცია-
ლისტ-ფედერალისტები—ჩვენში. ხოლო მატერიალისტურ
ანუ მარქსისტულ მსოფლმხედველობის მებაირადტრე იმ

თავიდანვე, როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთსა და
ჩვენში, არის სოციალდემოკრატია. მაგრამ საქმე ის არის,
რომ ცხოვრებაში ამ მიმდინარეობათა მსვლელობა ისე
წმინდათ და ისეთ სწორე ხაზზე არა სწარმოებს, რო-
გორც ეს შესაძლებელია წარმოვიდგინათ თეორიაში.
სოც. რევოლიუციონერები და სოც. ფედერალისტები
ზნირათ, კერძო შემთხვევაში, გადადიან ხოლმე მარქსის-
ტულ თვალთა ხევის წერტილზე და პრაქტიკაშიაც
იმავ კერძო შემთხვევისათვის უახლოვდებიან ანუ სუ-
ლაც უერთდებიან ხოლმე სოციალდემოკრატისა. ასე,
მაგ., იგინი მარქსისტებისაგან სესხულობენ კლასთა
ბრძოლის პრინციპს, თუმცა, რასაკვირველია, ამ პრინ-
ციპს ისინი ლოიკურათ ბოლომდის ვერ ატარებენ
ვერც აზროვნებაში და ვერც პრაქტიკაში. თავის მხრივ,
სოციალდემოკრატებსაც ზოგჯერ ფეხი უსხლტებათ
ხოლმე მატერიალისტურ პოზიციიდან და იწყებენ ნაფო-
ლობას მათვის შეუფერებელ იდეალიზმის მოლოფარდებულ
სივრცეში. ჩვენ აქ გვიანტერესებს სწორეთ ეს უკანას-
კელი მოვლენა სოც. დემოკრატების ცხოვრებიდან და
ესეც მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც საქიროა ჩვენ
მიერ ამ წერილში დასახულ განსაკუთრებულ მიზნისა-
თვის.

ამხანაგები არა მარტო განკერძობიო, არამედ აგ-
რეთეე მთელ ჯგუფებათ, დას-დასობით, უთავბოლოთ
დაეხტებიან მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ და
უკულმაც, იდეალიზმიდან კვლავ მატერიალიზმისაკენ.
ამის მაგალითებს მრავლათ იძლევა რუსეთის სოციალ-
დემოკრატის განვითარების ისტორია. ამ რამდენსამე
წლის წინათ, რევოლიუციის დაწყებამდე ბევრთ ადრე,
აქ გაჩნდა ორი მიმდინარეობა—„ეკონომიზმი“ და „პო-
ლიტიკიზმი“—რაცი კარგათ ასურათებს ჩვენ მიერ აღ-
ნიშნულ მოვლენას, რომელსაც, თქმა არ უნდა, თავისი
საკმაო და საპატიო მიზეზები აქვს. საქმე ასე გახლდათ.
როდესაც სოც. დემოკრატული ჯგუფი პიზველათ გაჩ-
ნდა რუსეთში, ამ ისეთი პოლიტიკური პირობების სუ-
ფვედა, რომ ნ მდვილ პოლიტიკურ მოღვაწეობასა და
სოციალდემოკრატულ პრაქტიკაზე ფიქრაც კი ამაო
ოცნება იყო. პარტიული მოღვაწენი იძულებულნი იყ-
ნენ მთელი თავისი მუშაობა შემოეფარგლათ ვიწრო
პატარ-პატარა, 5-დე კაცივან შემდგარ წრეებში მოქ-
მედებით; და რაც უფრო საგულსხმობა, ამ წრეებში
ისე ფართეთ იყო შეკადნიერება დაყენებული, რომ ას-
ტრონომიასაც კი არ ივიწყებდნენ ხოლმე. მიზნათ ისა-
ხადდენ ღრბა, საფუძელიანათ განსწავლულ-განათლე-
ბულ ადამიანების აღზრდას, საუკეთესო და ძლიერ პი-
როვნებათა შექმნას. ასეთი მუშაობა, ასეთი მიზნების
დაყენება, დამეთანხმებით, პირდაპირი საქმეა იდეალის-
ტებისათვის, საზოგადოთ, ტოლსტოის მიმდევართათვის,
სხვათაშორის; ტოლსტოისში ხომ ბუნებრივი ნაყოფია,
აღმოკენებული რუსეთის მწირ და ხრბოკ ნიადაგიდან,
შეხუთულსა და ბნელ ატმოსფერაში. აკი ყველა ჯურის
იდეალიზმი ქვეყნიერობის გადამბრუნებელ ბერკეტათ

ალიარებს ცალკე, რჩეულ პიროვნებათ, რისთვისაც მიზნათ ისახავს საუკეთესო და ძლიერ პიროვნებათა შექმნას და ამის საშუალებათ, რა თქმა უნდა, სცნობს პიროვნების თვით გაუმჯობესებას (самоусовершенствование личности) არსებითად, აი ამ საქმეს აკეთებდნენ ნაროდნობის და ნაროდოლოცები, და მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმის მიერლი შინაარსი მკეთილთ ჩაგვიჩინებს საუკეთესო, ძლიერ და იდეალურ პიროვნებათა შესაქმნელათ უმაღლ საქირათ თვით სოციალურ პირობების გადაბრუნებაო,—რომ საზოგადოებრივ მოღვაწის უპირველესი სასრუნავი საგანი უნდა იყოს ხალხის მისსა და სახალხო მოძრაობის, მიუხედავათ ამისა, პირველი მარქსისტები მაინც იმავე „იდეალისტურ“ საქმეს ჩაკირკებდნენ.

გაღიდა წელიწადები, მრავალი წელიწადები (პირველი სოც. დემოკრატიული ჯგუფი რუსეთში გაჩნდა დაახლოვებით 1886-წელს) და სულის შემხუთავი გარემოებანი მაინც არ იცვლებოდა, სოციალდემოკრატებიც იმავე სიზოფისებურ მუშაობაზე იყვენ მიჩრებული. ბოლოს ამხანაგების ერთ ნაწილს მოთმინების ფილა აფესო და გადაწყვიტეს ტაქტიკის შეცვლა სახალხო მოძრაობის გამოსაწვევათ, მუშათა მისისი დასარაზმავათ. მაგარ შეუგნებელ, დაბეჩებულ მუშათა მისისთვის სოციალ—პოლიტიკური თორაგები, უხადია, სრულიად მიუწოდელი იქნებოდა, მისთვის გასაგები იყო მხოლოდ ლუქა პურის ამბავი, ყოველ დღიური ცხოვრება, ხაზინებანი დამოკიდებულება ფაბრიკებსა და ქარხნებში. დაბეჩებულ მისისთვის ძალიან ნაკლებთ იყო საინტერესო სოციალიზმი და პოლიტიკა, მას არც მონარქია ეუზნებოდა ბევრს რასმე და არც რუსუბლიკა. მისთვის მწვავე სასრუნავი საგანი ის იყო, რომ 16 საათის ნაცვლათ ნახევარ საათით მაინც ნაკლები ემუშაუნა და რამდენიმე კაპეი ხელფასსზე თუნდ ორი კაპეი მაინც მოემატებინათ. და აი ხსენებულ ამხანაგებიც იწყებენ შესაფერ კნაღებებს ყოველ—დღიურ, წვირილმან, ეკონომიურ მოთხოვნების გარშემო. ასე გაჩნდა რუსეთის სოციალდემოკრატიაში, ამ ათიოდ წლის წინათ, „ეკონომიზმი“ (იხ. правое дело—ს გამოცემანი და მათი ორგანიზაციის დანარჩენი ლიტერატურა). მაგარ მალე აღმოჩნდა, რომ „ეკონომისტები“ მოქმედებაში სოციალიზმი დიოგენის ფარნით იყო საქმება; აქ სოციალდემოკრატის მიზნები და ტაქტიკა მალე ფუქსავატთ დაახურდავა „კაპეიკებზე“ მსრუნველობამ და მტიროდენ, ნაწილ—ნაწილ პოლიტიკურ გაუმჯობესებაზე ფუქმა ოცნებამ. და მართლაც, წვირილმან ეკონომიურ მოთხოვნებისათვის ბრძოლა თამაშათ შეიძლება აწარმოონ თვით ბურჟუაზიულ დემოკრატიათ. ტრედ—უნიონზმიდან და საზოგადოათ, ნეიტრალურ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან მუშათა პოლიტიკურ პარტიადღ ჯტკიდევ კარგა შორი მანძილი არის. გარდა ამისა, ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დროს რომ არავითარი პოლიტიკურ და მოქალაქეობის უფლებათა ნა-

წილ—ნაწილობით მიღება*) არ არის შესაძლებელი, ამაზე ლაპარაკიცი კი მკეთია. აღნიშნულ პირობებში, უხადია, არც მუშათა მდგომარეობის რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესება იყო შესაძლებელი. მარქსისტულ პოზიციანე მკიდრათ მდგომ სოციალ—დემოკრატებისათვის მიზან დღესათვთ აშკარა შეიქმნა, რომ სანამ არ გადაწყდებოდა იმპერიის ძირითადი სახელმწიფო საკითხი, სანამ არ მოხდებოდა ძირითადი პოლიტიკური ცვლილება, იმ დრომდე დაბეჩებულ ხალხის, მონათა ბრბოს ნაცვლათ ვერ აღიმათებოდენ ამაყ მოქალაქეთა ამაყი რაზმები, რომელნიც თვის მკიდროდენ უფლებათა შესაღებსაც კი გმირულის თავ—განწირულებით ეკვეთებინან, აშკარა იყო, რომ იმ დრომდე სამარისებურ სიზუმეს ვერ შესცვლიდა სიცოცხლის მოხარული შოჩუხსზე ცხოვრება.

ამ პირველ გეგმაზე უნდა წამოდგარიყო საერთო, საიმპეროო ძირითადი პოლიტიკური საკითხი. ამ გოლიათურ საკითხის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, მოითხოვდა გოლიათურ ლაშქარს, რომელსაც წინ წაუძღვებოდა ნათელი პოლიტიკური შეგნება და სწორეთ კლასიური შეგნება. ისტორიულათ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება იმგვარი ხასიათისა იყო, რომ აქ თანამედროვე პოლიტიკურ წეს—წყობილებისათვის სახალხო მოძრაობის თაოსნობასა და მსესეურობას სხვა ვერავინ იტვირთებდა თუ არ პროლეტარიატი. სოც.—დემოკრატისათვის აშკარა იყო, რომ „რუსეთში რევოლუცია გაიმარჯვებდა როგორც მუშათა მოძრაობა და ან სულ ვერ გამარჯვებდა ვერასოდეს“, როგორც ეს ერთხელ იწინასწარმეტყველა პლენაროგმა. და ეს წინასწარმეტყველება მართალი იყო, არის და იქნება, რამდენიც უნდა ეცოდენ მის გაზათილებას ჩვენებური დაუბუმლავი ოპორტიუნისტები „ეკალიდან“ და მისიან გაზეთებიდან. ახალი ტაქტიკა პირველ გეგმაზე აყენებს იღვას, კლასიურ თვითცნობიერებას და ამ იღვის მატრებულ, კლასიურ შეგნებთ ძლიერ პიროვნებას. ესლა ამ პიროვნებათ, ამ მოწინავე ელემენტების შექმნაკვლავ უპირველეს სასრუნავ საგნათ გადაიქცა. ასე დაიბადა რუსეთის სოციალდემოკრატიაში მეორე მიმდინარეობა „პოლიტიკიზმი“, რამაც იღვის და პიროვნების მნიშვნელობა ასწივა მარქსიზმისათვის შეუაბამო სიმაღლეზე და მისის მნიშვნელობა კი ერთიანთ დაჩრდილა. „პოლიტიკიზმი“ ამტკიცებდენ, რომ მუშათა მისსა კლდეზე გადაიჩნებება, იგი, ყოველ შემთხვევაში, თავის კლასიურ გზას ვერასოდეს ვერ მიავნებს, თუ ჩვენ,

*) კერძო პოლიტიკურ დომობათა უფლებების ნაწილ—ნაწილობით მიღების შესაძლებლობათ ერთხელ იცავდა—ჩამოდენიმე ნით აღწე, სანამ „ეკონომისტები“ შევიდოდენ როლში—იცავდა ნაღ პუტუბარია აღდენი. იმა ამ ზრის, სხვათაშორის, ერთ საზღვარ გარეთულ კრებაზე ამტკიცება მკერმეტყველურათ ინგლისის, ამრკის და სხ. ქვეყნის მაგალთებით, რამც იქ მყოფ პლენაროგს მაღლიანი მასლა მისცა სერთათ უტომისტ—რევოლიუციონერების „გასამართაზებლათ“.

ინტელიგენტები მას გარედან არ მივაშველებთ კლასიურ ცნობიერებასა. *) აქ ინტელიგენცია კვლავ გამოდის ხალხის ბუნებრივ აპეკუნად (მზრუნველად), ინტელიგენცია ხდება სინათლისა, სიკეთისა და სათნოების ქურქულათ, იგი ყოფილა მართალი ამა ქვეყნისა, ურამლისათაც ხალხი თურმე უმწვით მიტარებული ცხვრის ფარაა. ეს, როგორცა ჰხვდავთ, ყდელისტ-სუბიექტივისტების ნაცნობი სიმღერაა. ერთი სიტყვით, ჩვენი „პოლიტიკოსები“ თავს ჰყოფენ იდეალისტურ ფილოსოფიაში და მათი ახალი ტაქტიკაც ჰნიშნავდა ძველ ნაროდოვოლცების ტაქტიკის აღდგენას მხოლოდ შეუფერებელ სამოსელში, ნაროდნიკული ტაქტიკა გამოდიოდა მარქსიზმით შემუშავრული.

ამრიგათ, ჩვენ ვღებულობთ ასეთ სურათს. პირველი მიმდინარეობა („ეკონომიზმი“), რომელიც გამოიწვია „კრუტკოვშინიამ“ (სოც.-დემოკრატების პირვანდელ, იდეალისტურ ეშხზე მოქმედება) საფეხით ეძლევა მასს და სრულიად იგიწევებს „იდეას“ და „პროგრესას“, თითქოს მარქსიზმისათვის არც ერთსა და არც მეორეს აღარა ჰქონებოდეს არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა; მასიურ მოძრაობის შექმნაზე გადავებულნი აღარ დაგვიდვენ იმას, თუ როგორი იქნება ამ მასის შედგენილობა და მისი შეგნების ღირებულება. საქმის ასე გაგება, რა თქმა უნდა, ს. დ. მოძღვრების უშროულაზათო ვულგარიზაცია, ეს მარქსიზმის დაბახიჯება, ეს იდეალიზმის მოპირისპირე, მეორე უკიდურესობაა. როგორც რეაქცია, ამ მიმდინარეობის ჩნდება „პოლიტიკიზმი“, რომელიც, ნაცვლათ იმისა, რომ გაასწოროს გამარუდებული ხაზი მოქმედებისა, უკიდურესათა ჰხრის ამ ხაზს სწორეთ მოწინააღმდეგე მხარეზე, ე. ი. ერთიანთ ჰჩრდილავს მისის მნიშვნელობას და იდეალისტურ ჰანგზე გამოაქვს იდის და პრივანების მნიშვნელობა.

ასე ერთი უკიდურესობა მეორესა სცვლიდა და ამხანაგები უთავბოლოთ დახეტებოდენ მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ და უკუღმა. ამ ხეტიალს, რასაკერაველია, ყურადღებოთ ვერ დასტოვებდა შორს მჭვრეტელი და შესანიშნავ თეორეტიკული და პრაქტიკული გონების პატრიონი პლენაროვი. მალე რუსეთის მარქსიზმის მამათ მთავარი აღნიშნულ მიმდინარეობათა ბრძოლის შუა გულში აღიმართება ბუმბერაზათ; მას მალლა უქორავს მარქსიზმის აბრიბლებული მაშხალა და გამეხებული უძახის დაქსასკულ-მოხეტიალე ამხანაგებს:

„Vademecum!“ **) „მომეყვიო მმ!“..

**) იხ. ლენინის ცნობილი წიგნი Что делать?
 *) იხ. მისი წიგნი ამ სათაურით („Vademecum!“ და სხვა მისი ნაწერები რომორც „ეკონომისტების“ ისე ლენინისა და სხვა „პოლიტიკოსების“ წინააღმდეგ.

* * *

სქელი ლურბელი,
 შავი და ბნელი
 სამშობლო მხარეს გადაეფარა,
 სხივთა მფენელი
 მზისა ნათელი
 ჩვენ სანუგეზოდ სჩანდა აღარა.

მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
 მივლავნ-მოკლავნა მისი სხივები,
 სამარადისოთ მე მომეჩვენენ
 გარდმოვნილნიღ ფეთით ნაპერწყლები.

ელვა მსწრაფლ გაჰკრა,
 ისევ დაჰჰარა
 სამშობლო მხარე უქუნმა ბნელისა,
 ისევ კრემლი მღის,
 ეტრი იმარადის,
 გული წაილა ისევ ნალეღმა!..

გალ. ტაბიძე.

ქურნალ-გაზეტებიდან.

ჩვენი ამხანაგები „ეკალიდან“ დღემდე გულდასმით ერიდებიან ჩვენთან პირდაპირ შეკამათებას. ისინი არჩევენ ვიწრო ბილიკებითა და მიხვეწ-მოხვეწული გზებით ბრძოლას. მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ატეხილ ამ საცეკ-მალულო კამპანიაში მათ ისტორიული ნემსზიდა ზოგჯერ მოულოდენს ხოლმე ისეთ სიურპრიზებს, რაიც მითვე უწყალოთა სცემს თავ-პირში.

გაზ. „ეკალიში“ იბეჭდება საყურადღებო ფელეტონები ერთ პოლონელ ამხანაგის, — *С-КРИМ-სა*. ავტორი ორტორდოქსი (მართლმორწმუნე) მარქსისტია და ამასთანავე ჩაბნელი არის პოლონეთის სოციალისტურ პარტიის (პ. პ. ს.) წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის თავით ცხადია, რომ ის მიდრეკილი იქნება პ. პ. ს.-ის დაჯახება გადაამლაშოს და აი, მიუხედავთ ამისა, იგი მინიც იძულებულია შემდეგი აღიაროს:

„პ. პ. ს.—ის მეტათ მავენ მიმართულებასთან ბრძოლაში რაზნა ლოქუსებურგმა, ცოტა არ იყოს, გადაამლაშა: მან უყურადღებოთ დასტოვა ის გარემოება, რომ ოლქობრივი თვითმართელობა საქმარისი არ არის პოლონეთის მატერიული და სულიერი საქმიოებათა ყოველმხრივ დასაქმყოფილებლათ. ამ ქვეყნის სასოზადებრივი ცხოვრება მეტის-მეტად განსხვავდება დანარჩენ რუსეთისაგან...“

... პოლონეთის სამოქალაქო კანონმდებლობა დამყარებულია ნაპოლონ პირველის კოდექსზე. დასარულ პოლონეთს აქვს მდღეარო თავისებური სულიერი კულტურა. ამის გამო მისთვის აუცილებლათ საჭიროა ავტონომია, საჭიროა სკიმი, რომლის კომპეტენციას უნდა ექვემდებარებოდეს: სასკოლო საქმე, ზღმინისტრაცია, მართლმსაჯულელება; მითვის აუცილებლათ საჭიროა დაცულ იქნას მისი სამოქალაქო კოდექსი.

უნდა მოვახსენოთ გახ. „ეკალს“, რომ... Mutato nomine... de te fabula narratur (მარტო სახელიუნდა შეიცვალოს და გამოვა, რომ აქ შენზე არის ნაამბობი.) აღნიშნულ ფელეტონებში ნაამბობი ერთობ საგულისხმოა სწორეთ „ეკალისათვის“. გურჯიეთ ჩვენს ამხანაგებს „ეკალიდან“*, კარგათ ჩუქვირდენ ამას, გულდასმით გადაშინჯონ თავისი ძველი შეხედულება ეროვნულ საკითხზე, კარგათ გაითვალისწინონ როგორც სერიოზული მოსახრებანი, ისე კიდევ მთელი ის აბღა-უბნა, რომელიც ჩვენს პრესაში, იწერებოდა ავტონომიის წინააღმდეგ, და ზოლოს, ექვი არ არის, თვითონვე დარწმუნდებიან, რომ **черт не такъ страшенъ, какъ его малютъ** (ეშმაკი არც ისე საშიში არის, როგორც უნდათ მოგვჩვენონ).

* * *

სომხურ ჟურნალ „ჩნაჩის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„ჩვენის აზრით, ჰამიდის თვითმპყრობელობა შერყეულია, თუმც სრულათ არ არის დამარცხებული. სასახლის კამარბილას, რომელსაც ოსმალეთის მონარქის მეთაურობით მთელი სახელმწიფო და იქ მცხოვრები სხვა-და-სხვა ერები დანარევის, დაქაქვის და დაღუპვის გზაზე მიჰყვება—უფლება შემოცილილი აქვს, ძველი ოსმალეთის ის ნაწილი, რომელსაც ავაზაყური ინსტიტუტები და ფანატრები ჰქონდა დევნებდნენ და ოსმალეთში მცხოვრებ ერების სამარის გამახრელი იყო—აღარ არსებობს, აღარ არის ის ოფიციალური მთავრობა, რომელსაც **სომხეთა კი-თხის** გადაჭრა უნდოდა სომეხ ერის სრულიად ამოწყვეტით. **ძველი** შენგურელია, **ახალი** კი შექმნის ხანაშია და ამ პრეტენსიის უღებელ დამოკიდებულს იმაზე თუ როგორ მოიქცეობს ახალ მდგომარეობის ფაქტობრივი, როგორ ძალას და სწრაფს უნარს გამოიჩინენ. მაშასადამე ჩვენი დღევანდელი ხანა მეტათ დიდნიშნულადანი და პასუხაგები ისტორიული მომენტია. საქმის ახალმა მდგომარეობამ გააჩინა „ახალგაზდა ოსმალნი“, რომელთაც ხელთ იგდეს ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობა და გადაიქცნენ სახელმწიფო პარტიათ, ვისაც მიზნათ დაუხანავს ოსმალეთის სახელმწიფოს და მასში მცხოვრებ ერების სხვა-დასხვა გადამკრეული გახდეს.

„ახალგაზდა ოსმალეთის“ სახელით მოლაპარაკე იეროთობისა და პროგრესის“ ორგანიზაცია პოლიტიკურ ფაქტორათ ხდება და ხელმძღვანელობს როდღი შვიდს ოსმალეთის ნაციონალიზმი, რასაც საფუძვლათ ედება **მიღმატის კონსტიტუცია**. რაც ყოფილა 40—50 და 70 წლებში ნაციონალისტურ პარტიების მეშვეობა ეფრობილ ქვეყნებში, იგივე იქნება ოსმალურით—ოსმალეთში.

რაც უნგრულ ნაციონალიზმის მეშვეობა იყო უნგრეთში მცხოვრებ ერებისათვის, იგივე აარს ოსმალური ნაციონალიზმიც. თათართა ნაციონალიზმის მაძღვრებისათვის უფრო თავისუფალი პირობები, უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო საჭირო, ვინც თვითმპყრობელობა, იგი დღეს ახალ პრობოვების შექმნის გოქაშია. ოსმალთა ნაციონალიზმი არა ოსმალურ ერებს, მისკენ იმდენ საშუალებას განვითარებისათვის, რამდენიც წინააღმდეგი არ იქნება მათ ნაციონალურ მისწრაფებათათვის...

ამათი გამეფება ოსმალეთში—ბურჯუაზიის გამეფებას

ნიშნავს და ეს არის, რომ სისტემატიკრათ ესწრაფვის ხელთ იბდოს სახელმწიფო კითხვების გადაჭრა, რა თქმა უნდა, თავის კლასიურ ინტერესების თანახმათ. ჰამიდის პიროვნულ აბსოლიუტიზმში დამარცხებულია, მაგრამ მიღმატის კონსტიტუციის განზარტყვებით აბსოლიუტიზმი, მონარქია და თეოკრატია საბოლოოთ არ არის დამსხრტრული.

მიღმატის კონსტიტუციის არ მოაქვს **სახლის მეფობა**—მეფობა სულთანის აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ.

მიღმატის კონსტიტუცია ორივე პალატას (სენატს და პარლამენტს) ანიჭებს მხოლოდ სათათბირო ხმას. მათ კონონის დაწყების უფლება და ფუნქცია არა აქვთ“.

შემდეგში წერილის ავტორი აღიარებს ამ აზრს: რადგანაც ნაციონალისტურათ მოაზრე ვერც ერთი პირი ანუ პარტია ვერ შეკრიბდება, რომ ერთი ერი გამეფებული იყვის მთელ ერზე, ამისათვის საჭიროა:

„ერთებს ჰქონდეთ „თანაწროობის ხელუხლებელი უფლება“ და ბარდა ამისა, რომ ყოველი ერი მახვითარდეს და თავისი ისტორიულ-ინდივიდუალური ასეხვა შეინახოს, უსათუთა საჭიროა, რომ ყოველ ერს ჰქონდეს თავისი **ავტონომია**, სრული ენერჯალიზაცია ჩვენ წინააღმდეგი ვართ. მაშასადამე, ჩვენთვის არსებობს **სომხეთის ავტონომიის კითხვა**“...

ჩვენი ბრძოლის ახლო მიზანია,—სომხეთის, მაკედონიისა და სხვათა ავტონომია და დემოკრატული კონსტიტუცია მთელ ოსმალეთისათვის.

ჩვენი ბრძოლის შორეული მიზანია სოციალიზმის გამეფება სომხეთსა და მთელ ოსმალეთში“.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში წარუდგინა ნამესტნიკს სოფლის მეურნეთა განზრახულ სიეზის პროგრამა და წესდება. საბჭო სთხოვს ნამესტნიკს, რომ მას ნება დართოს მოიწვიოს თბოლისში სოფლის მეურნეთა სიეზი 7—15 დეკემბრამდე. სიეზზე უმთავრესათ განხილულ იქნება შემთავი კითხვები: ერობის შემოღება კავკასიაში, სამეურნეო კავშირების ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებელი საშუალება და სხ.

თბ. საბაღოსნო სკოლაში მისაღები ეგზამენები დასრულდა. მიიღეს 45 მოსწავლე. სულ სკოლაში ითვლება ეხლა 25 მოწაფე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

24 სექტემბერს აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტმა შეიმუშავა საიუბილეო დღესასწაულის საზოგადო საქმე. დაწერილებით შემუშავება მიანდო მკირე კომისიისა.

როგორც ოზურგეთიდან ეკალ“-ს ატყობინებენ 24 სექტემბერს, სიღამოს ციხიდან გაქცევა დაუბირებია **მირიან ჰანატურიშვილს**, მაგრამ დარჯავს იკვე მოუტყობათ.

ამირან“-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ იქ ბულვარზე დაიპირეს ეკიმ ტრიანდელიძის ერთი მკვლელთაგანი. ის აღმოჩნდა ოზურგეთის მახრის სოფ.

სურების მცხოვრები ექტორ რამიშვილი, რომელიც წინათ მსახურებდა ბათუმის ქალაქის საავთომოფოში. ის უბრალო მოსამსახურე არის (და არა ფერწალი, როგორც ამას იტყობინებოდა სხვა გაზეთები). ის საპატიბროში ვაგზაუნეს.

➤ ორწამათს სემინარიის ახალი შენობა ეაკეხე დათვლილია განსაკუთრებულმა კომისიამ. კომისიამ შენობა დააფასა 425,000 მანეთათ, რაც იმავე დღეს შეატყობინეს საპატიბროთა უმთავრეს უწყებას. მოსალოდნელია ახლო მომავალში სემინარიის ახალი შენობა გახდეს ცენტრალურ საპატიბროთ.

➤ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“-ს მე-9 ნომერი მოზრდილითაჲთის და 17—18 ნომერი მკირე წლოვანთათაჲთის. ორივე გამოცემა ჩვეულებრივ ლაზათიანი და საინტერესოა.

ო ს ქ ა ლ ე თ ი .

21 სექტემბერს ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მივიდა ქალ. რუშუქს, სადაც მას დაუხვდა მთელი საზინსტრო. 22 სექტემბერს დილით მთავარი მინისტრების თანხლებით სივანგებო მატარებელით წავიდა ქალ. ტრინოვოს.

ტრინოვოში იმავე დღეს ბოლგარია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

სტამბოლში ამ ამბავს შმართველ წრეებში ისეთი აღელვება არ გამოაუწყევია, რომ მოსალოდნელი იყოს ომი.

მართალია, ბოლგარია ბერლინის ტრაქტატით ოსმალეთისაგან დამოკიდებული სახელმწიფოა, მაგრამ ის დიდი ხანია ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო ოსმალეთის მთავრობა არ ერეოდა მის საქმეებში. თქმა არ უნდა, ახალგაზდა ოსმალნი შეგნებულათ შეეგებებიან ბოლგარიის მიერ გამოშვევე მოქმედებას და ოსმალეთის ნორჩ თავისუფლებას მომიჯნე სახელმწიფოთა სასიხარულოთ არ ჩააზრჩონენ უაზრო ომიოთ.

ახალგაზდა ოსმალთა ოფიციალური ორგანო „იტჩაღდე-ტერაქი“ უძღუნის კომიტეტის ახალ გამოქვეყნებულ პროგრამას სეროიხულ წერილს. ვაჭეთის სიტყვით, კომიტეტი პარლამენტში სამოქმედლო გარდაიქვევა პოლიტიკურ პარტიათ „პროგრესი და ერთობა“. კომიტეტის პროგრამა უსათუოთ ვახნდება მთავრობის პროგრამათ, რადგან ახალგაზდა ოსმალთ აქეთ ყველა შანსები, რომ პარლამენტში შეადგინონ უმრავლესობა. ახალგაზდა ოსმალთა პარლამენტში სამოქმედლო უმახლობელესი გეგმა შემდეგია:

დაუკონტროლე განხორციელება აუცილებელ საქირო რეფორმებისა; სამოქალაქო თავისუფლების უზრუნველყოფა; სახალხო მმართველობის პრინციპის გამაგრება; გადასახადების სამართლიანი დაწესებოება; სასოფლომეურნეობისა და მრეწველობის აღორძინება.

— ბერლინერ ტაგებლატ“-ის სტამბოლელ კორესპონდენტის სიტყვით სტამბოლის რეაქციონერები დიდ სამხედრო ორბან. თითქმის უღემა (მღვდელი) გემი-ლია-მულის სახლში ყოველ დღე იკრიბებიან გამოჩენილი რეაქციონერება მურატ-ბეის მეთაურობით და თათბირობენ. ამ რეაქციონერებმა შეადგინეს უაზრ-მაზარი პროვოკატორული გეგმა, ორონ ქვეყანა და დააყენონ რეაქციის გზაზე. თაეიანთ ბინძური მიზნის განსახორციელებლათ რეაქციონერნი—შთქმულები ბრმა იარაღთ იყენებენ ციხიდან გამოშვეველ სისხლის სამართლით დასჯილ დამნაშავეებს.

ნ ს ა რ ს ე თ ი .

ლონდონელი კორესპონდენტი თავრიზიდან „ტაიმს“-ს ატყობინებს:

„ჩრდილოეთ სპარსეთში ეხლა იწყება ზამთარი,— ჩვეულებრივთა საკვარისთა მკაცრი აზერბეიჯანში, რომელიც, ქვეს გარეშეა, აძულებს შაჰის ჯარს, რომელიც შესდგება ქურთებისა და შაჰსევეანებისაგან, განშორდეს თავრიზს. ამ გვარათ აზერბეიჯანი გაზაფხულამდე ფაქტიურათ იქნება დამოუკიდებელი თეირანის მთავრობისაგან. ეს, რასაკვირველია, მოახდენს დიდ შთაბეჭდილებას მეორე მხარეზე, სადაც ხუთი თვის განმავლობაში შაჰის ჯარი უწყაყოფთ ებრძოდა თავრიზის რევოლუციონერებს, რაც უსათუოთ დასცემდა შაჰის ავტორიტეტს.

თავრიზის რევოლუციონერებმა ან, როგორც მათ უწოდებს სპარსეთში, ნაციონალისტებმა, მტკიცეთ გადასწყვიტეს, რომ ხელი აიღონ იარაღზე და დემოკრილონ შაჰს მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ ევროპის ყველა საელჩოებთ, და არა მარტო ინგლისისა და რუსეთისა, მისცემენ პატიოსან სიტყვას, რომ მეჯლისი იქნება მოწვეული ევროპის საპარლამენტო საფუძველზე.

— თავრიზის ინჯუშენმა გამოცხა მოწოდება ფრანგულ ენაზე განათლებულ კაცობრიობისადმი. მოწოდებაში დასახელებულია ის მიზეზები, რომლის გამო სპარსეთის ხალხი უწყაყოფილთა შაჰისა და მისი კარის კაცებისა. მოწოდება გამოვიდა ამ სათაურით: „A tous les peuples civilises et humains du monde (მთელ განათლებულ ხალხთა და კაცობრიობისადმი)“. მოწოდებებთ ბიუროკრატის ყაჩაღთა ბრზოს, ქურდებს და ცინიკებს, რომელნიც ძალათ სხედან ხალხის კისერზე. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით:

აღვირეთ რა სპარსეთის ასეთი მდგომარეობა ბედნიერ ხალხების წინაშე, რომელნიც სარგებლობენ ცივილიზაციითა და პროგრესით და მივმართათ რა თხოვნით მათ რა დაუფიქრდენ ერთ წამს ნაკის ბედ-იღბალს, რომელიც თავგანწირული იბრძვის ცვილიზაციისა და პროგრესისათვის, ჩვენ მთ ვეკითხებით: ჩვენს მხარესა თუ არა სიმართლეთ?“



ბ უ ბ ზ ა უ ლ ი.

ჩემო გაუმჯობესებულ!
 შენ სხვა მდინარეს ვერ შეკადრებ:
 რომ დაგინახე, გული იტინის,
 ღარდი შეკარვის, ფხარობ, ფეცარებ.
 ამდს მიბრუნებს, წამსხალისებს
 სიერმით წინრობი ვე ნახირები,
 შენთან მოსული შეგას ვიზოგებ
 სშირათ ბედიკან ანტირები.
 რასაცა ვხედავ ექ შენს კარშემო,
 სულეგელა მინრობს და მეც შენობა,
 მიაღრსებენ, მეც ვფაღრსებ,

ითყო გვესიოდეს ურთაურთის გრძინობა.
 თუმცა არა აქვთ შათ შეტუგულება,
 მანც ბეგრის რასმე მე მომიოხრობენ,
 თვისი უენს სავებართა
 მიხადირებენ, გულს მიამერობენ.
 აქ მკონდება ჩემი ბავშვობის
 დაუფიწარი ტკბილი დღეობა,
 მათი სიამე გამოუთქმული
 დღემდის უცვლელათ გულს ჩამჩენია.
 მიუფარს ჩქრიალს აქათეგული
 შენი შევირალა ტკლქი ტალღები,
 ახ, რად არ ძალუბთ, რომ გადამრეცხონ,
 რაც მანწევა გულს დაღები.

მასიოც ავი დრო, რას ჩემი გულის
შენს ზვირთებსაკეთ იყო ხსენა,
დღეს გმუნის ნისლი შემოთხვია,
სინათლის სხივი არ მოაკვარს.
ბედნიერი ხარ, დაუდგარო!
რომ არც კონობა გაქვს და არც გული,
თორემ აქამდე მთლად დამრებოდი,
დღეს იქნებ დი ვიწროდო.
ვერ გადტყდა, შენ რომ გესმოდეს,
რც შენს გარშემო ამბობა ხდება:
ერთი იცინის შეტრის კენჭით,
ერთის სიდინგლით მეორე კვდება.
ძის ძმის დაღატობის, ატყუების ურცხვას,
შევალი უტოფრათ უელსა სკრის მამის,
როგორცაა გაძღვის საწრელი გული,
როცა უფურც დღე მუდამ ამის?
ბოროტი ხარობის, ეძლევა ღვინის,
კეთილისა კი მოსამის კვება,
უფურც, მაგრამ ვერაფერს ამბობ,
შენსვე ზორცს იტყუა, სწევდა შენს დღეს.
ცბიერი დაღლის მოსვენებული,
მზა-მზარეულით განხვრამისა,
მართალს შამბლით სერწყვი უშრება,
თუშტა დღე და ღამ შრამისა.
ლიტონი სიტყვით ეველსაცან კესმის:
თანსწორობა, ერთობა, ძმობა,
მაგრამ საქმით კი ვოველგანს სხანს
ურთ-ერთის ჩაგვრა, ვინაჲ, გმობა!..
ას, ნეტავი შენ, ცნაქობა დანარვე,
რომ ეს არ გესმის და არ გაწუხებს,
თვით მადლიერი თავის ბედისა
სხვის არ ეძიებ გულის მასუხებს.
შეგნატრი და თან შურით გეფურც,
ჩემს მოკლე დღეს რომ წარმოვიდგენ,
ვინ უწეს, რამდენს წაღე და საუკუნის
შენ ჩემს შემდეგაც ასევე იდენ?
ვიცი, ასევე, როგორც ხელა შე,
აქ მამა-მამან ბეგრევერ დამტობარა,
მაგრამ ხელა კი სადაა არან?
თუშენ ჩრდილია მით მოაგვარა!
თუ არ დღეს, ხვალე შენ ეს მომიკლეს,
აქაურობას გამოვეთხოვა,
შეს ტადღეს კვლად ვეღარ ვახილავ
და სხვა მოსაწერ ბინის ვახილავ!..
შენ ვერ გაიკებ, თუ რა ძნელია
ხან-მოკლე დღე და მომავლობა,
დღეს შენ მოძრობა, ჩვეულის ეტრფი
და ხვალ გამოგვედის სულ სვა თაობა!..

გრ. ცენტერაძე.

მაღალს წრეში.

(გაგრძელება, იხ. „ჩვენი კვალი“ № 17)

მოკმედება მეოხე.

(სცენა წარმოადგენს მდიდრულთა მორთულ ხალას ნესტორის სახლში).

ნესტორი (დადის). რაც მინდოდა, ამისრულდა.
ოლა (სავარძელში ზის). როგორი სიმეც ჩვენს
ოჯახს შეეფერებოდა, სწორეთ იმისთანა ვიპოვეთ.

ნესტორი (ოლას წინ გაუჩერდება). აბა ერთი
შენ თვითონ მიზნარი, ჩვენს ქალაქში არის ვინმე იმის-
თანა? გამოჩენილი გვარისშვილი, ლამაზი, მოხდენილი,
მხიარული, საცა მივი, მხიარულება თან მივაქვს.

ოლა. მაინც ყოველისფერი რომ უხდება! ცოტა
კარტი და სმა კი ჰყვარებია.

ნესტორი. ეჰ, ერთი შენც,—ბერი ხომ არ არის
ყმაწვილი კაცი იმისი ყმაწვილი კაცია, რომ კარტიც
უნდა ითამაშოს და კიდევ უნდა დალიოს. არა, ჩვენი
ლიზა სწორეთ ბედნიერი ქალია.

ოლა. ანკი რატომაც არ უნდა ყოვილიყო ბედ-
ნიერი? მე გეტყვი, მზითვეი აკლდა! რას არ იშოვნე
ახლანდელს დროში ფულით!

ნესტორი. იღბალიც მუშაობს, ჩემო ოლა, იღბა-
ლიც. დაინახე თუ არა, მაშინათვე შემიყვარდაო, არ-
ჩილი მეუბნებოდაო.

ოლა. ვენაცვალე ჩემს ლიზას! თუ ჩემი მშობლე-
ბი თანახმანი გახდებიან, მეც თანახმა ვიქნებიო, ასეთი
ბასუხი მისცა თურმე არჩილს წინადადებაზე.

ნესტორი. ღიბაჲ! მაშ ვილაც კურსისტკა ხომ არ
იყო, რომ ჩვენს ნებადაურთველათ კისერზე ჩამოკიდე-
ბოდა? (შემოღობს გრიგოლი და მარიამი).

გრიგოლი. მომილოცავს, მომილოცავს, კნიაზ ნესტორ
და კნენია ოლა. (ოლას ხელზე ჰკოცნის, ნესტორს
ტუჩებში. მარიამი და ოლა ერთმანერთს ჰკოცნიან:
ნესტორი მარიამს ხელზე აკოცებს. დასხდებიან).

მარიამი. მეტათ მოზარული ერთი მე და გრიგო-
ლი. როგორიც თქვენ შეეფერებოდათ, სწორეთ იმის-
თანა სიმე იშოვნეთ.

გრიგოლი. იშოვნეს რა!—მე შენ გეტყვი, ფული
დააკლდებოდათ! ერთი ორასი ათასს ჩაუჩხრიკლებდი,
კნიაზ ნესტორ, ჰა? (იციანს. სხვები იღიმებიან).

ოლა. ეჰ, ბედნიერი იყონ და ფული კი არ გვე-
შურება.

გრიგოლი. კნენია ოლა, კარგი სიძის გულისს-
თვის ფული არ დაიშურება, ვისაც აქვს.

მარიამი (ოლას). საცა ფულია, ჩემო საყვარელო
დაო, იქ ბედნიერებაც იქნება.

გრიგოლი. უნურ მავას იტყვი, ჩემო მარიამ! ფუ-
ლი ბევრსა აქვს, მაგრამ ბედნიერი კი არ არიან.

ნესტორი. იმიტომ რომ სულდენები არიან. ფული
იგივე ბედნიერებაა. თუ ფული გაქვს, ყოველისფერი
გაქვს; თუ ფული არა გაქვს, ყოველისფერს მოკლებუ-
ლი ხარ.

მარიამი. კი ნუ გეწყინებთ ჩემგან, თქვენი ღიზა სამავალითო ქალია, ანგელოზია, ანგელოზი, მაგრამ იმას რომ კარგი მზითევი არა ჰქონდა, ამისთანა სიძესაც ვერ იმოვინდით.

ოღლა. რა თქმა უნდა!

ნესტორი. სრული ჰქმარატივება!

გრიგოლი. არა, ნურც მავას იტყვიო. მე იღბალი მრწამს. იღბალმაც უნდა იმუშაოს.

მარიამი. დაგიყინა შენც იღბალი, იღბალი!

გრიგოლი. ფული ვანა სხვებს არა აქვს,—რატომ მაინცა და მაინც ამათი ქალი შეირთო არჩილმა? სიანს, იღბალიც მუშაობს, სიყვარული, —როგორც გინდა, ისე დაარქვი.

ოღლა. როგორც დავინახე, მაშინათვე შემიყვარალო, არჩილი მეუბნებოდა.

მარიამი (ღიმილით) იმიტომ, კნენია ოღლა, რომ კარგი ორასი ათასი ჰქონდა შენს ქალს. ამა ორასი ათასი არა ყფილიყო!

გრიგოლი. რაკი შეუყვარდა, ე. ი. რაკი იღბალმა გასჭრა, მაინც შეირთავდა.

მარიამი. საქმეც იმაშია, რომ მაშინ არც შეუყვარდებოდა..

გრიგოლი. მაშ, შენის აზრით, უფულოთ ქალს არავინ შეიყვარებს?

მარიამი. რიგიანი, ჭკვიანი და კარგი ოჯახისა და გვარის შეილი არა, გადარეული და მუეიკები კი რამდენიც გინდა!

ნესტორი. მართალია, ჩემო რძალო, მართალია.

ქალს ფული უნდა ჰქონდეს,—ასეთია ჩემი აზრი.

გრიგოლი (ცოტა სიჩუმის შემდეგ). ახალი ამბავი იციო?

ნესტორი და **ოღლა** (ერთათ). რა მოხდა?

გრიგოლი (ღიმილით). ის მოხდა, რომ თავად მიხეილის ქალი ვილაც ექიმს გაჰყოლია.

ნესტორი. თუ კარგი ექიმია, რა უშავს,—რიგიანი შემოსავალი ექნება.

გრიგოლი. საქმე მავაში არ არის.

ნესტორი. მაშ რაშია?

გრიგოლი. იმაში, რომ ჯვარი არ დაუწერიათ.

ნესტორი და **ოღლა.** (ერთათ) როგორ თუ ჯვარი არ დაუწერიათ?!

გრიგოლი (ღიმილით). ისე რომ არ დაუწერიათ!

ოღლა. მაშ ხასთა გაჰყოლია!

გრიგოლი. ახლა ჯვარის წერა მოდაში აღარ არისო! (იციან).

ნესტორი. ახია იმაზე, იმ ჩემს მიხეილზე. ასე იციან კურნისტკობამ! კაკი დამსახურებულები, პოლოკონიკი, კარგი მამულისშემილი გაილანძლა და გაიყვარა ახლა.

ოღლა (მარიამს). ეს ხომ თავის მოჭრაა, ცოცხლათ დამარხვა. ღმერთო! ეს რა დრო დადგა!

გრიგოლი. ხალხი გაიჩრყნა და გაფუჭდა. რაც დრო მიდის, ჩვენი ახალთაობა თანდათან ეცემა ზნეობრივათ.

ნესტორ. ეს რომ ჩემმა ქალმა მიქნას, ჩემის ხელით გამოეკრი ყელს, ჩემის ხელით.

მარიამი. თქვენი ქალი ისე არასოდეს არ გადირევა, რომ ამისთანა სისამაგლე ჩაიღინოს,—ოჯახის ბრალიც არის.

გრიგოლი. ერთი შენც! ოჯახმა რა ჰქნას, თუკი კალი ბუნებით წამხდარი და გარყენილი დაიბადება.

ნესტორი. ოჯახი იმაშია დამნაშავე, რომ რიგიანმა ოჯახმა ქალიშვილი უმადლეს სსწაუღებელში არ უნდა გაგზავნოს. იქ ქალები გარყენილების მეტს არაფერს არა სწაუღობენ, არაფერს.

ოღლა. საწყალი მიხეილი და იმის ცოლი რაღასა შერებთან?

გრიგოლი. რაღას იზამენ! გაილანძლენ, თავი მოეკრათ და ახლა რაღა უნდა ჰქნან?

ოღლა. მეტი აღარა ჰყავთ ქალი?

გრიგოლი. მეტი რა, რომაჰყავთ?

ოღლა. ეს ერთი თუნდა სულ არა ჰყარიათ, მოჰკლდითათ.

გრიგოლი. საქმეც ამაშია, რომ ამისთანა თავის მოჭრას სიკვდილი ათასწილათ სჯობია, ათასწილათ.

ნესტორი. სიკვდილი ყველასათვის გარდუფალია. მოგაკვებდა ქალი, პატოისანი სახელი მაინც ჩაჰყვება მრწამსი,—და ეს ხომ მთელი ოჯახის, მთელი გვარის შერცხვენაა და თავის მოჭრა. მალალს წრემი თუ ამისთანა რამ მოხდებოდა, მე ვერ წარმოვიდგენდი. ამას შემდეგ რაიქნება, არ ვიცი და დღემდე კი ზნეობრივი სიწმინდე და სარწმუნოება მტკიცეთა გვექონდა და ცუდი.

გრიგოლი. თითო მახინჯი ყველა ოჯახში შეიძლება, რომ გამოეროს, თორემ ამგვარი გარყენილება ჩვენს წრემი ფეხს ვერ მოიკიდებს.

ოღლა (პაუზის შემდეგ). ახლა წავიდეთ და ჩვენი ღიზა ენახათ,—ჩაქმული იქნება. (გაღიან: სცენა რამდენიმე ხანს ცალიერია. შემდეგ შემოიჭრე ექვსნი დანი ხელში ვარდებით).

განი.

(შემდეგი იქნება),

შ ა რ ი ლ ი მ ო ს კ ო მ ი ლ ა ნ .

დღეს დილით უნივერსიტეტში, ყველა ფაქულტეტების კარიდორებში, ვაკრული იყო პეტერბურგის სტუდენტობის მიერ საერთო კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია, რომლის შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: ჩვენ, პეტერბურგის სტუდენტობამ 13 სექტემბრის საერთო კრებაზე ეცანით შევარცხეთ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება უნივერსიტეტების, რუსეთის განათლებისა და კულტურის განმანადგურებლათ და ეს მით უმეტეს, რომ მინისტრის ცირკულიარი მისწრაფვის მიიღოს კანონმდებლობითი გადაწყვეტა (Законодательное постановление) უნივერსიტეტების ახალი წესდების

სახით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიული მომენტი ავალღებს სტუდენტობას—მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველსავე ცდას, რომელიც კი მიმართული იქნება უმაღლეს სასწავლებლების განადგურებისაკენ. ჩვენ მოვეწოდებით სტუდენტობას პროტესტისაკენ, რომელიც უნდა გამოხატოს სრულიად რუსეთის სტუდენტობის გაფიცვის სახით, და ვისახავთ მიზნათ უმაღლეს თავისუფალ სკოლის, განათლებისა და კულტურის დაცვას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს ბრძოლაში მხარს დაგვიჭერს მთელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრი. ჩვენ ვანსაკუთრებულ მნიშვნელობას მივნიჭებთ იმ მომენტს, რომელიც დასაცვლით პროფესორთა კლასების დაშლისა და ამისთვის საღამო ვუძღვნით მათ პირველ ნაბიჯს, როგორც იყო, მაგალითად, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორთა საბჭოების განცხადება.

ჩვენ მოვიზოგოთ:

- 1) მეცნიერებისა და სწავლების თავისუფლებას;
- 2) სტუდენტთა კრებებისა და წარმომადგენლობის სრულ თავისუფლებას;
- 3) ქალების, რელიგისტებისა და სემინარიელთა უნივერსიტეტებში დაშვებას და
- 4) ებრაელებისთვის პროცენტულ ნორმის მოსპობას.*

ამ რეზოლიუციამ უნივერსიტეტი ერთი ათათ გამოაკლავდა, მიღებული სულიერი წყობილება ერთბაშით აღაფრთოვანა და ამაღლა. თუ ამდენ ხანს შუაგარეის პოლიტიკის მართო უნივერსიტეტის სხვა-და-სხვა ფრაქციები და ისიც ვიწრო, მცირე-რიცხოვან ფრაქციულ კრებებზე აკრიტიკებდნენ და სტუდენტების ფართო მასას კი ინდიფერენტულად ეკიდებოდა, ეხლა თვით სტუდენტობის ეს ფართო მასა ჩაერთა საქმეში, ინდიფერენტობი სრულიად გაქარწყლდა. კარიდორებში სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფით დადიან და გაცხარებული კამათობენ. საქმე იქამდის მიდის, რომ ოქტომბრისტიკიც ოპოზიციის გზას ადგებიან და ფიქრით აქვთ თავისი ხმებიც. შეუერთდნენ საერთო პროტესტის კვადრატს, როგორც ყოველთვის, ეხლაც ოპოზიციონათ მოქმედებენ: ხან გაფიცვის მომხრეთ აღიარებენ თავის თავს, ხან კი მის წინააღმდეგ კამათობენ. მემარცხენე ფრაქციები გავიცვის მომხრე არიან. თამამათ შეიძლება ვთქვათ, რომ მომავალ საერთო კრებებზე, რომელიც მოწვეულ იქნება 18 სექტემბერს, გაფიცვა გავა.

სტუდენტობა ფიქრობს საჩქაროთ აირჩიოს ყველა ოპოზიციონერ ფრაქციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კოალიციური საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს სტუდენტობის მოძრაობას. როგორც ხმები, ასეთ საბჭოებს ყველა უნივერსიტეტები აირჩევენ.

ივ---იძე.

უმაღლეს სასწავლებლის მდგომარეობა.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 17).

აღსანიშნავი და მეტის მეტათ საგულისხმოა მემარჯვენეთა როლი უმაღლეს სასწავლებლის არეულ-დარების საქმეში. კუმპარტ რუსთა კავშირის მეთაურობით თითქმის ყველა ქალაქის უნივერსიტეტში შესდგა ქ. რ. კ. სტუდენტების ფრაქციები და დაიწყეს მოწინავე სტუდენტებთან და ლიბერალ პროფესორებთან ბრძოლა. ასეთ ფრაქციების დასახასიათებლათ გავეცნოთ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქ. რ. კ. სტუდენტების ფრაქციის პროგრამას, რომელიც „Р. Р. ЗНАМЯ“-ს ერთ-ერთ ნომერში იყო გამოცხადებული. შევარხმულ სტუდენტთა განყოფილება მთელ პროგრამაში უნივერსიტეტის ავტონომიის წინააღმდეგ ლაპარაკობს და, იღებს რამდენიმე საკითხს, რომელთაგან ერთ-ერთი პროფესორების უმრავლესობა პოლიტიკანობს და ხელს უშლის რუს-სტუდენტობას მეცნიერების შესწავლაში, საქიროთ თვლის, რომ კათედრა უსათუოდ „სულიერათ რუს“ პროფესორებს დაეთმოს. ამ განყოფილების წევრათ, როგორც მათი პროგრამა ამბობს, მიიღება ის რუსი სტუდენტი (თავისუფალი მსმენელი არა), რომელიც „სიცოცხლეს არ დაშურავს ქ. რ. კ. დღეებისთვის და უნივერსიტეტის კვლევის გარეთ სტუდენტთა მუდრის პრესტიჟს დაიცავს“. როგორც ხედავთ, ქ. რ. კ. წევრებს პროფესორებზედაც მიაქვთ იტრობა. ამ მხრივ სხვა ქალაქებს არც დორბატი ჩამორჩა. იქაც გაჩნდა ხელიდან სტუდ. ბრბო, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ქ. რ. კ. ადგილი კორპორანტებმა დაიკავეს. თუმცა უმთავრესი მათი ზრუნვა ქვეყნი, არმყოფა და დროს ტარებაა, მაგრამ თუ პოლიტიკაში გაერთიანდნენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაილაშქრონ მოწინავე სტუდენტობას და პროფესორებზე. ისინი ამხადებდნენ „Н. В.“ ფურცლებზე რექტორს და ლიბერალობას სწამებდნენ. ჩვენ გვინდა მეცადინეობა, რექტორი კი კრებების ნებას იძლევა, ამბობდნენ ისინი.

რეაქციონერი პრესა, ქ. რუსთა კავშირი და მემარჯვენე სტუდენტობა ერთათ ხმა-შეწყობილათ მოქმედებდნენ მოწინავე სტუდენტობისა და პროფესორების წინააღმდეგ. ისინი არ ზოგავდნენ უკიდურეს და საზიზარ საშუალებებს (გაიხსენეთ 1907 წლის აღდგენის ამბები). მათ ბანი მისცეს სახ. ლუშის მემარჯვენე დეპუტატებმა და დაიწყეს უმაღლეს სასწავლებლის წინააღმდეგ მოქმედება. 1906 წლის 11 დეკემბერს 68 მემარჯვენე დეპუტატმა სახელ. დუმაში შეკითხვა შეიტანა უმაღლეს სასწავლებლების შესახებ, რომლითაც საერო განათლების მინისტრიდან თხოულობდნენ განმარტებას იმ გარემოების შესახებ, თუ რატომ პეტერბურგის და დორბატის უნივერსიტეტების პროფესორებმა დისციპლინარული სასამართლო არ ამოირჩიეს და არ გადასცეს ამ სასამართლოს სტუდენტობა. ერთი სიტყვით, მემარჯვენეები როგორც დუმაში, ისე გარეთ მთავრობას აჯერებდნენ უნივერსიტეტის წინააღმდეგ მოქმედებაში და მთავრობას უმოქმედობაში ამტკუნებდნენ. ყოველ კუთხიდან შე-

* ამ რეზოლიუციისთვის მიუციათ ხმები 2389 სტუდ. 77 წინააღმდეგ, 82 თავი შეუკავებია.

რახმელები მთავრობას უგზავნიდნენ პეტციებს, პატრონულ საჩივრებს კრამოლნიკების შესახებ, რომლებსაც, მათის აზრით, უმაღლესი სასწავლებელი ბუღეთ გაეხადნათ და სადაც სწავლის ადგილი პოლიტკას დაეკავა. მემარჯვენე დეპუტატებაც ყოველთვის მხარს უჭერდნენ ასეთ მოთხოვნებს და ყოველ უმინუშენლო და მწიშენლოვან კონფლიქტის დროს მირბოდნენ სტალინთან და თხოვლობდნენ მკაცრ ზომების მიღებას სტუდენტობის წინააღმდეგ. ამგვარი დეპუტაცია კიევის არეულობის დროს სთხოვდა სტალინს მიეღო სასტიკი ზომები და აღეკვეთა მეტის მეტი თავისუფლება და გათავისებდა უმაღლესი სასწავლებელი. ცხელი უკიდურესი მემარჯვენეების მუდმივი მონობას უწევს ბიუროკრატია. ისინი ერთად ხელ-ჩაკიდებული მოქმედობენ უნივერსიტეტში და ახლა შეერთებული ძალით შეუდგენენ უნივერსიტეტს ძირიანათ გაწმენდას „კრამოლნიკებისაგან“. სტუდენტების გამორიცხვით რომ ვერ დაკმაყოფილდნენ, ახლა „კრამოლნიკ“ პროფესორებიდან მოინდომენ უნივერსიტეტის გაწმენდას: დაითხოვეს და სასამართლოში მისცეს ყველა ის პროფესორები, რომელნიც უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის დროს შესაფერ (სასტიკი) ზომებს არ იღებდნენ და რბილათ ექცეოდნენ სტუდენტობას. სასამართლოში მისცეს პეტერბურგის პოლიტექნიკუმის დირექტორი და დეკანიები. დაითხოვეს სამთა ინსტიტუტის პროფ. ლუტუჯინი, კიევში პრივატ-დოცენტი ოლოჟენკო თუმცა კრებაზე სტუდენტებს ურჩევდა არ გაფიცულიყვნენ, მაინც ვერ ენდნენ და დაითხოვეს. ოდესის რვა საუკეთესო პროფესორი სასამართლოში მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის დროს სასტიკი ზომები არ მიიღეს სტუდენტების წინააღმდეგ. ამათან ორი: ყოფილი რექტორი ზანჩევსკი და პრორექტორი ვასკოვსკი სულ დაითხოვეს უნივერსიტეტში. რექტორის მოადგილე აწ განსვენებული, ცნობილი პროფ. პეტრიაშვილი, რომელიც რექტორის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა, საერო განათლების მინისტრის ბრძანებით გადააყენეს და რექტორობა უკიდურეს მემარჯვენე ლევაშოვს მისცეს, მაშინ, როცა ავტონომიურ უნივერსიტეტში რექტორს თვითონ პროფესორები ირჩევენ. ამით კიდევ ვადალახეს ავტონომია, გათიქეს მისი დანიშნულება. შერახმელებმა ესეც არ იკმაყრეს და საერო განათლების მინისტრსა და მის ამხანაგზელს მიიტანეს იერიში, რომელსაც არ თვლიდნენ ღირსეულ მებრძოლათ კრამოლნიკების წინააღმდეგ და იმ მინისტრს, რომელმაც 11 ივნისის კანონს ხელი მოაწერა, ლიბერალთა სფელიდნენ. ამას გვიტყობს საერო განათლების მინისტრთა წამყოფის ფონ-კაუფმანის დათხოვნა და მის ადგილზე შვარცის დაყენება, რომლის გამინისტრებაც დიდი ხოტბითა და მზიარულებით შეხვდა მემარჯვენეთა პრესას და მთელი რუსეთის რეაქციონერები. იმედი და მზიარულება კიდევ გაუშარბლდა. შვარცის სწორით ისე მოიქცა, როგორც უკიდურეს მემარჯვენეების სურვილი და მი-

სწრაფება მოითხოვდა. გამინისტრებისთანავე შვარცმა გამოსცა ცირკულიარი ცირკულიარზე და საესებით მოსპო უნივერსიტეტის ავტონომია. როგორც უკვე იცის მკითხველმა, მიმდინარე 1908 წლის მისიში საერო განათლების ახალი მინისტრის ცნობილი ახალი ცირკულიარი გამოვიდა. ამ ცირკულიარის ძალით უნივერსიტეტში სრულებით არ მიიღებინა ქალები, ფთხა-შეკვეცილია სემინარიელების მიღება და სხვა... როგორც ვახსენებთ გადმოგვცემენ, აპირებენ სტუდენტების ყველა ორგანიზაციების მოსპობასაც კი. ამას ისიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ წარსულ სამოსწავლო წლის დამლევს ისევ შემოიღეს პედლები, ინსპექტორები, მოსპეს საექსპერტო კომისიები და სხვ.

ამგვართ, კვლავ გამეფდა ძველი რეჟიმი უმაღლესი სასწავლებლებში; კვლავ მისი ისტორია განმეორების გზას დაადგა. თავისუფლებისაგან განახლებულ, კულტურის გზაზე შემდგარ უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრება სწრაფი ნაბიჯით წინ მიდიოდა; მაგრამ პოლიტიკურ რეაქციით გაყინული აქმისთვის წინ გადადგომა და დააბრუნა რამდენიმე წლით უკან, რომ კვლავ გაიაროს ის, რაც უკვე განიცადა! ენახათ, როგორ შეხედება ამ გზას სტუდენტობა!

ს. კანდი.

ქუთაისის ქრონიკა.

კვირას, 20 სექტემბერს ქალაქის თეატრში გრ. რომაქიმე რუსულ ენაზე წაიკითხა ლექცია „შემდეგ თემასზე“. პიროვნების პრობლემა; ფილოსოფიურ იდეალის მიზნის განმარტებით“. შემოსვლის ნაწილი ილიას ფონდის გასაძიერებლათ იგი გადადებული. ლექციას ხალხი ნაკლებათ დაესწრო. ჩვენის აზრით, ლექტორმა შემოაღნიშნული თემა საესებით ვერ დასაბუთა-განმარტა.

სახალხო განათლების ინსპექტორის, სუდაკოვის ყუმბარის სროლის შესახებ სასტიკი გამოძიება სწარმოებეს. დამნაშავენი გერ-ჯერობით ვერ აღმოუჩინათ.

ქართული გიმნაზიის 24 ყმაწვილმა თვალსაჩინოთ დასაბრუნეს სასწავლებელი. 3 მოსწავლე ორიოდეს საესებში ჩაიჭრა, მაგრამ ოლქის მზრუნველისაგან მათაც ნება მიეცათ გიმნაზიის დასრულების. ყველანი მოკლე ხანში სიმწიფის მოწმობას მიიღებენ.

თავალ-აზნაურთა ბანკიდან ვილაცის მიერ ყალბი ორდერი 6,000 მანეთის გატანის გამო დაითხოვეს იქ მოსამსახურენი: კ. დადიანი, ილ. მიქელაძე, ონ. სვანიძე.

ამავე ბანკს ფინანსთა მინისტრისაგან ცირკულიარი მოუვიდათ, რომლითაც მინისტრი იახოვს ამიერიდან ხსენებულ დაწესებულებამ ქართულ გიმნაზიას სუბსიდიას აღარ აძლიოს, არამედ აფანსები გაასწოროს გასული წლების მოგებიდანა.

უწინ გიმნაზიას ბანკიდან 4,000 მანეთი ეძლეოდა, წელს 2,000 მანეთამდის ჩამოკვეითეს მხოლოდ დანარ-

მუშათა შორის

ჩენი ხარჯების შევსება თვით მოსწავლეებს დაეკისრეს, რისთვისაც მათ სწავლის ფული გაუორკვეს და ახლა კი ბანკიდან შედევთ სულ უსაზღვროდ. ამ საგნის შესახებ დღეუტატა საკრებულომ ზედამხედველ კომიტეტის თანადასწრებით მსჯელობა იქონია; კრებამ დაადგინა გაიგზავნოს მინისტრთან საშუამდგომლოთ მაზრის თავადი-ნიხაურთა წინამძღოლი თ-ლი დ. ნიყარაძე და ბანკის მოსამსახურე ბ. გრემიფი, რომელნიც შესთხოვეს მინისტრს — რათა გინაზიას ბანკიდან დახმარება არ მოესპოს. ენახათ, რა იქნება.

◆ გარდაიცვალა ქალაქის მართებლობის ტენიკი ბ. უორდანი.

◆ გურიიდან მოსულებმა ვადმომცეს—იქაც დაუწყეთ უსინდისოთ „ცოცხალი ნივთის“ შანტაჟი. ამას წინათ ს. ჩიხაძეაურის ახლოს მოურტაციით ცინცაძის ბავში, რომ მშობლებს გამოეცხადათ, შებრამ ხალხს წაუართმევია ყმაწვილი უზნეთათვის.

◆ ტრიანდაფილიდის ისტორიამ ძალზე ააშფოთა აქაური საზოგადოება. ბათუმიდან იწერებინან: ექიმის მკვლელნი აღმოაჩინესო.

◆ რომანტიულ ნიადაგზე 22 სექტემბერს აქ თავი მოიჩამლა კარბოლის სიმეფიოთ გეორგიას ქალმა.

◆ 22 სექტემბერს მდებროგებებს ჩხუბის დროს ამხანაგი შემოაკვდათ ბებუთით.

სერ—უორე.

ზ რ თ ი ს ა მ ბ მ ბ ი.

ჩენი ქალაქის ჩეულებრივი მიმდინარეობა უკვე შეიცვალა, მომავლის საშინელებამ ის დადაუტურა-ამოძრავა; ანტისანიტარულ პირობების წინააღმდეგ საბრძოლველათ მთელი თავის ძალებს მოხილიზადა მოახდენინა. დაახ, ჩენი ქალაქი ენერგიულათ შეუდგა ყოველგვარ უსუფთაობისაგან თავის გაწმენდა-გასუფთავებას. და ეს მის შემდეგ, რაც აქ ხოლერამ, ამ თავზარ დამცემმა სენმა იჩინა თავი. 11 სექტემბრიდან ქალაქის ექიმი ტერ-ნიკოვოსკი დადის მცხოვრებლებში და სასტიკათ მოითხოვს სანიტარულ პირობების დაცვას. ჩენი ექირები შეფუტხუნდენ, იმათ ისე ხოლერა ვერ აშინებსთ, როგორც „პროტოკოლები“ და, რა ესმათხმა: ექიმი დადისო, თავქუდ მოგლეჯილი შეუდგენ ადამის დროინდელ სიბინძურის ვაწმენდას. ჯერ-ჯერობით ხოლერამ სამი ადამიანი იმსხვერპლა, ერთიც ავით არის (14-ში გამხდარა ავით).

— აქაური ზინგერის კომპ. განყოფილების მოსამსახურე-აგენტების უფლებაში შედიოდა კაცის მიღება. ახალმა გამგემ ხელა ეს უფლება წაართო მათ. მოსამსახურეებს კონტრიც არ დაუძრავს. როგორც ბორიტი ენები ამბობენ, ასე იმისთვის მოკცულან, რომ კარგია გაიაფილიონ. მახლას!.. ნუ თუ არ იციან, რომ ამით წინააღმდეგ მიაღწევენ!

კაცია მუნჯაძე.

თბილ. ტრამვი. თბილისის ტრამვაილებს ორი ნება დართული დაწესებულება გვაქს ჩვენის ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლათ, სახელდობრ „დამსხრევა-გამსესხებელ საზოგადოებას“ და „გამსესხებელ—შემსახველ კასის“. ეს ორი დაწესებულება ერთი—მეორისაგან განსხვავდება როგორც დასახულ მიზნით, აგრე შედგენილობითაც. „დამხმარე—გამსესხებელი საზოგადოების“ მიზანია ჰყავს შეუწყას თავის წევრებს ეკონომიკურ მდგომარებასა გაუმჯობესებას, და მის მიზნის მისაღწევით ხნის სასაძილოს, მალაზიას, ყიდულობს ამა თუ იმ აუცილებელ საქირო ნივთებს, იძენს და უფილოს უძრავ-მოძრავ ქონებას; დამხმარებს უწევს იმ წევრებს, რომელთაც მოუკლებთ ვინმე, ან მოუვით ქონებრივი ზიანი და გახდებიან ავით, აძლევენ სესხს იმათ, ვისაც დასკირდებათ; მართავს ყოველგვარ მოლაპარაკებას, სდებს ყოველგვარ კანონიერ ხელშეკრულებათ—შეთანხმებს და სხ. და სხ. დაწესებულება საწევრო გადასახადი ხელუფასის მიხედვით; დაწესებულია აგრეთვე სესხათ გატანილ ფულზე პროცენტების გადახდა და როგორც საწევრო გადასახადი, სესხით გატანილ ფულზე შემოსული პროცენტები, აგრეთვე საზოგადოების ყოველივე შემოსავალი შეადგენს საზოგადო საკუთრებას. არ მიიღობინ საზოგადოების წევრებათ ისინი, ვინც ასრულებენ რაიმე აღმინისტრატულ თანადადებობას.

„გამსესხებელ-შემხმარებელი კასის“ მიზანი მარტონისაა, და შეიძლება მეტი პროცენტები მოაგებინოს თავის წევრების მიერ გადახდილ ფულს და შეინახოს; აქ ყველასათვის შესასვლელათ კარგი ფართოთაა გაღებული, საწევრო გადასახადი ყველას თავის სასარგებლოთ შეაქვთ და სესხათ გატანილ ფულზე აღებული პროცენტებიც იმათ მიაქვთ, ვისაც მეტი ფული დაუბანდება ამ „კასაში“. ისინი კი, ვინც ვაჭირებაში იძიუფებიან, ან ჩავარდებიან ვაჭირებაში, სესხს ბევრს გაიტანენ და პროცენტებსაც იმათ სასარგებლოთ გადაიხდიან, რამუნდინ ფულის მოსაგებათ ეწეუბან „გამსესხებელ შეამსხველ კასის“ და ანა ამ მიზნით, რამ გაჭირეუბანს დაესხმენ.

თავის თავათ ცხადია მუშების ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ღიდ დახმარებას აღმოუჩენს პირველი, ე. ი. „დამხმარე—გამსესხებელი საზოგადოება“, რომელიც ყველა წევრების ტკივილებს ერთ ნაირათ ვაჭირნავს, ყველას ჭრილობებს ერთ ნაირათ დავდება მალაშათ, ყველა წევრების აზრებ—სურვილებს ერთ კალაპოტში მოაქცევს, ერთ გზაზე სიარულს—საზოგადო ცხოვრებას შეაწყვეს, პროცენტების მოგების ნაცვლათ ერთი მეორის დახმარების სურვილებს აღუძრავს ყველას. აი რატომ უნდა დაეთიბოს ჩენ მუშებ-შორის პირველი ადგილი „დამხმარე-გამსესხებელ საზო-

ვადობას“. მერე როგორ უყურებენ ზოგიერთი „შორს მკვრეტი შეგნებელი“ მუშები ამ „საზოგადოებას“? სულ ერთია, დღეს თუ არა ხვდები მინც დაკეტვას მთავრობა და ტყვეობა უბრალოთ რაღაცე უნდა დაეხარჯოთ ენერგია. ან არა და ჩვენ სად შევიძლებთ ხელმძღვანელობა გავუწიოთ სასაბჭო—მალახვიებს, უკეთესია „გამსესხებულ—შემნახველ კასაში“ ჩავეწერთ, იქ არც იმდენი საქმეებია გასაკეთებელი, რომ ვერ შევიძლოთ გაკეთება და არც დახურავს მთავრობაო“. ასეთი „შორსმკვრეტი შეგნებელი“ მუშები ასე ბრძანობენ: „საზოგადოებრივი საქმეების და „გამსესხებულ—შემნახველ კასის“ შესახებ. რასაკვირველია, საქმის შესახებ ასეთ მსჯელობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გარდა იმისა, რომ ერთის მხრით შიშმა უფრო დამონაწევა მათი გონება-გამბეღობა, მეორე მხრით კი სიზარმაცემ, და ჰგონათ საქმეს ჩვენ მაგიერათ ვინმე უნდა აკეთებდეს, ჰგონათ, რომ იმ უფლებებს, რომელიც მოგვეცემს „გარანტიას ამა თუ იმ საზოგადოების არსებობისას, თავის თავით ვინმე მოგვანიჭებს. ამ „შორსმკვრეტე შეგნებულ“ მუშებს სხვებიც უყურებენ და ისინიც არ ეწერებიან წევრებათ. თუ კი ესენი (მიუთითებენ ხოლმე იმათზე, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ „კრიტიკულათ უყურებენ“ ზემოხსენებულ პირველ დაწესებულებას) არ ეწერებიან, ჩვენ რათ უნდა ჩავეწეროთა“? იმედია დანარჩენი მუშებიც, რომელთაც დღევანდელმა ნახევრათ რეაქციონურმა ბურჟუაზიულმა ხანამ დასვა მათი ცხოვრების პირობებს თავისი ბეჭედი, არ მიზანძენ ტრამვაიულ ზოგიერთა „შორსმკვრეტელ შეგნებულ“ მუშებს, არ დაუწყებენ მათსავით გულხელდაკრეფილი ყურებას ისეთ დაწესებულებებს, რომლების არსებობის შეწყვებითაც შევიძლიან საზოგადოთ მუშების აუტანელ ეკონომიურ პირობების ცოტათი მინც. ვაუფჯობესობა, და ისარგებლებენ ცოტათი მინც. ამა თუ იმ დღევანდელ დაწესებულებით.

ტრამვაიელი.

ბათუმი. ბერძნის ანუ „სიდერიდის და არკანტიდის“ პარტის სომეხი მუშები. საზოგადოთ სომეხების იმიგრაციას მიჰყენენ ზემო-დასახლებულ ფირმის სომეხი მუშებიც და მიდიან ოსმალეთში. ჩვენ სასიამოვნოთ მიგვანჩია ეს მოვლენა, სხვათა შორის, იმიტომ რომ მათ ადგარიან დაიჭერს უმუშევრობა და ამით ბათუმის უმუშევრობა რიცხვს მოაკრებდა რამდენიმე უმუშევარი. შორლოთ საქმე იმაშია, რომ წამსლეული სომეხი მუშები ყიდიან მუშაობის უფლებას და ტრავებენ თავიანთ ალაგას იმას კი არა, ვისაც რიგით ეკუთვნის მუშაობა, არამედ იმას, ვინც უფრო ბევრ ფულს მისცემს მათ, რაც, რასაკვირველია, სხვა რომ არ ვთქვათ, დიდ უსამართლობას შეადგენს. ასეთ გასაკიცხავ საქციელს ჩა-

დიან თვით დაშნაკაცანის და გენჩაის პარტის წევრები. ჩვენ შევიძლია დავასახლოთ ის პირები, რომ ლეგმაც ზემოხსენებული საქციელი ჩაიღინეს. დასახლებულ პარტებს სოციალისტურ პარტებათ მოაქვთ თავი, მუშების ინტერესების დამცველებათ. მათი წევრები კი ახვადებენ კერძო საკუთრებათ თვით სამუშაოზე უფლებას, რომელიც ყველა მუშებს საზოგადოთ ეკუთვნილებათ მიიჩნიათ.

ამ აღმანიებმა კარგათ იციან, რომ კაპეციტ არ გადაუხთიათ სამუშაოს მიღებაში და რაც უფსოთ მიუღიათ, თუმც ეხლა ეს მათთვის საჭირო არ არის, ყიდიან 150 მანეთით საშუალოთ. აწნაირათ ორმაგ ტყავს აძრობენ ისედაც დაბეჭავებულ სომხის მუშებს. გარდა ამისა ხდება ასეთი მაგალითებიც: მუშა მის მაგიერათ სტოვებს სამუშაოზე სხვა მუშას იმ პირობით, რომ დღიური ქირა მეორემ პირველს შუაზე უნდა გაუყოს.

ასეთი ამბები ხდება უფრო ხშირათ სომეხებში და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას ის ორგანიზაციები, რომელთა წევრნი ეს მუშები არიან.

ოზურ—გელი.



ღია წირილი ქართველ საზოგადოებას.

დღეს, როდესაც ოსმალეთში ცოტათ თუ ბევრათ, არსებობს თავისუფლოთ წერის საშუალება და როდესაც პოლიტიკუთ თავისუფლების გამო იქ მცხოვრები და ჩარგულ-დაბეჭავებული ერები მოწოდებულნი ხდებიან თანამედროვე კულტურულ ცხოვრებისათვის, ჩვენ მოვალენი ვართ შეძლებისდა გვართ დახმარება აღმოვეჩინოთ იქაურ ჩვენს მოძევებს, რათა იგინი დამარცხებული არ დარჩნენ ახალ ასპარეზზე ბრძოლაში. ჩვენის მკირე აზრით, საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიექცოს ოსმალეთში ცხოვრებ იმ ქართველ მაჰმადიანებს, რომელნიც არც ეროვნულათ და არც კულტურულათ არ არიან იმ დონეზე, რომ ადვილოთ შეიძლონ ცხოვრების ახალ პირობებში ის ადგილი დაიჭირონ; რაც მათ კანონიერათ ეკუთვნით მათში სათანადო თვითცნობიერების შესატანათ, რა თქმა უნდა, საჭიროა ფული, ენერგია და საქმის სიყვარული. მაგრამ ყველა ესენი აღმოავიჩნდება, თუ კი გვექნება საქმის სერვიოზული ხასიათის შეგნება და მტკიცე სურვილი შევიდარლოთ ჩვენი მოვალეობა. ქართველ საზოგადოებას კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ეს საქმე დახმარებას ვერ იწვევს. ზემოხსენებულმა ქართველ-მაჰმადიანებმა თუ აბსოლიუტიზმის დროს კიდევ შეირჩინეს თავისი ვინაობა და ეროვნულათ, ჯერ კიდევ არ ვადგავ-

რბეულან სასვებით, ახლა, თავისუფლების დროს აღვი-
ლიათ შეიძლება მსხვერპლი ვახდენ ახალგაზდა ოსმალე-
ბის თავაშებულ ნაციონალიზმისა და ახალგაზდა ოს-
მალითა მისწრაფებაც ხომ ეს არის. ჩვენის აზრით, აქე-
დანივე დაუყოვნებლივ საჭიროა სტამბოლში ქართულ
ენაზე განხეთის გამოცემა და იქაურ ქართველებში წე-
რა-კითხვის, რაც შეიძლება მეტი, გავრცელება. ამ საქ-
მის თაოსნობა, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტათ უპირაი-
ნეა ქართ. შორის წერა კითხვის გამოვრცელებელ საზო-
გადოებისათვის.

მე რადგან ვიცი ქართული, სომხური თათრული
და რუსული ენები, სურვილს ვუცხადებ იმ საზოგადოე-
ბას და აგრეთვე კერძო პირთ: ვისაც კი გულზე ეკი-
დება აღნიშნული საკითხი, სურვილს ვუცხადებ შეძლე-
ბისა და გვართა დახმარება აღმოვფინრო განხეთის გამო-
ცემის საქმეში.

დასასრულ, კვლავ გავიმეორებ; რამ აქ დახანება
არ გამოდგება, საქმეს მიტანება უნდა, თორემ ბოლოს
გვიანდა იქნება. „წამხდარსა საქმეს რას არკვებს, მერმე-
ლა თითზე კბენანი!“

Artemius.



მალზინის მახარა.

(გვტ. 2. გვ.)

აქ გადმოსახლებული ქართველები უკიდურეს გაქი-
რებებში ვიმყოფებით. არ არის ჩვენთვის არც ნივთიე-
რი სახარლო და არც გონებრივი. მოწყვეტილი სამშობ-
ლო მხარეს ფიზიკურათ მოწყვეტილი, ვართ გონებრივი-
თაც.

ჩვენ გვეძლევა თვეში პურის ფულათ 6 მან.
50 კაპ., მაგრამ მას დროზე ვისიც ჯერ არს არ იძლე-
ვა. ყოველთვის მეროთ თვის 15-20-დგ გვიქერს, და ჩვენ
კი ამ ხნის განმავლობაში სასტიკ სიღატაკეს განვიცდიოთ.
ჩვენდა სამწუხაროთ, არ გვყავს კაცი, რომ გუბერნატო-
რთან თხოვნა დავაწერინათ.

როგორც ვახეთი „ვიატ-რეჩი“ გადმოგვცემს, ყვე-
ლა მახარებში გადმოსახლებულებს მიუღიათ სახაუბუ-
ლო ტანისამოსის ფული, მაგრამ ჩვენთან ჯერ მის შე-
სახებ ბაიბურცი არ ისმის. როდემდის იქნება აგრე, არა-
ვინ უწყის.

მიემართავთ ქართველ საზოგადოებას და ესთხოვთ
მოგვაწოდონ ქართული წიგნები და ვახეთები ვიატკის
გუბერნიაში გადმოსახლებულ ქართველებს.

წელს ვიატკის გუბერნიაში გამოგზავნილებს დაუ-

ნიშნეს მეთვალყურე, თითო მეთვალყურეს ახარია ხუთ-
ხუთი კაცი, რომ არსად გაიპარონ.

ჩვენი ადრესი: გ. **Малшинь** (Вятек. губ.) с. Цп-
шия. Коцы Габადაдзе ვადასახლებულთათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამაშვილი.**

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი .

რ ე დ ა მ ტ ი ი ს ა გ ა ნ :

ვ ი ნ ც „**ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს**“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოდ პირველი სექ-
ტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს
პრემიუმთ პოპულიარულ სამეცნიერო სტა-
ტიებისა და მოთხრობათა

— კ რ ე ბ უ ლ ს —

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

●● ჩ ვ ე ნ ი კ ვ ა ლ ი ●●

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — — — 3 მან.
სექტემბრიდან — — — — — 2 „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რედაქცი ში; ქუთაის-
ში—კ ნ ტ ა რ ა „იმერეთში“. ქუთათურ ხელის მომწერთ განხეთ
პრემიით დაუთხოვდება კანტორა „იმერეთში“

თიფლის. Редакция «Чвени Квали». Ванкская ул.
№ 12. Рахиль Каландадзе.

ახალი გამოცემანი

ი ა რ ა ჯ ვ ა რ ა მ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ლ მ მ დ ვ ა ნ ე ლ ო მ ა ბ ი ს ა .

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა-მესამე გამოცემა წერა-
კითხვის საზოგადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის
საწერი ღედნისა და თორმეტი, ნოტებზე ვადალებული, სანახლო
სიძღვრა: კახური, ქართლული, იმერული; გურული, მგრული,
სვანური. ფასი იბივეა.

დედა-ენა, ნაწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, და-
ბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს
სხვილის ხელის ღედნისას. ფასი იბივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეთექვსმეტე გამო-
ცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუ-
სულის პირდაპირს წერისას. ფასი იბივეა.

რვეულები, პირდაპირი რუსული წერისა, საუვეთხო ქა-
ლაღზე დაბეჭდილი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში და
პრიეტუროვთან. ფასი სამი კაპეკი.